მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აგვისტო (აბი) №11 (369) (5772) 2012

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲨᲘᲛᲝᲜ ᲞᲔᲠᲔᲡᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ?



ლონდონში ოლიმპიადა საზეიმოდ 27 ივლისს საღამოს, პარასკევს გაიხსნა. ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა უარი განაცხადა ცერემონიაზე დასწრებაზე, რადგან ოლიმპიური სტადიონის ახლოს არსად არის პრეზიდენტისთვის შესაფერისი სასტუმრო, სადაც ფეხით მისვლას შეძლებს და არ დაარღვევს შაბათის სიწმინდეს.

ZMAN.com ინფორმაციით, პერესის კანცელარიამ ოლიმპიურ კომიტეტს შეატყობინა, რომ პრეზიდენტი ოლიმპიადის გახსნის ცერემონიას ვერ დაესწრება.

შეგახსენებთ, რომ ისრაელში რელიგია სახელმწიფოსგან არ არის გამოყოფილი. ამიტომ ოფიციალური პირები შაბათ დღეს გამართულ ცერემონიებში ვერ მიიღებენ მონაწილეობას.

2004 წელს ათენში და 2008 წელს პეკინში პრეზიდენტი პერესი მონაწილეობდა ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაში, მაშინ წმინდა შაბათის პრობლემა გადაჭრილი იყო.

„ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ. XXVII“

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისრაელის ცენტრმა გამოსცა „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხების“ ოცდამეშვიდე ტომი – აღმოსავლური კრებული“. მთავარი რედაქტორია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წ.კ. **გ. ლორთქიფანიძე**, ტომის რედაქტორი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მ. მშვილდაძე**. სარედაქციო კოლეგიის წევრები: **ჯ. აჯიაშვილი**, **გ. ბათიაშვილი**, **რ. ბურჭულაძე**, **ნ. გელაშვილი**, **ნ. გოისაშვილი**, **მ. დათუკიშვილი**, **შ. ბოსტანაშვილი**, **გ. ლორთქიფანიძე**, **თ. მახარაშვილი**, **მ. მშვილდაძე**, **ი. ოფირი** (ისრაელი), **დ. ყოლბაია** (პოლონეთი).

ტომში წარმოდგენილია: **თამარ ლომინაძის** და **ქეთევან გოჩიტაშვილის** („ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ტიპები ინტერნეტსივრცეში“), **ნათია ამირეჯიბის** და **ქეთევან ლორთქიფანიძის** („ღვთისმშობლის სახე ქრისტიანულ და ისლამურ ხელოვნებაში“), **ავთანდილ ნიკოლეიშვილის** („ქართველ ებრაელთა ლიტერატურულ-ჟურნალისტური მოღვაწეობის სათავეებთან“), **ლილი გულედანის** („ებრაული თემატიკა ძველ ქართულ მწერლობაში“), **იზოლდა გელთაძის** („ებრაელთა ბედი ოსმალეთის იმპერიაში“) და სხვა შრომები.

ტომი გამოიცა ებრაული სააგენტოს საქართველოს წარმომადგენლობის შემწეობით.

მოშე (მიშიკო) მირილაშვილის სახელზე



იერუსალიმში ჩასული თითქმის ყოველი ადამიანი, რომელი კონფესიისაც არ უნდა იყოს, უსათუოდ ეახლება გოდების კედელს, ანუ როგორც ოფიციალურად იხსენიებენ, დასავლეთის კედელს. ეს არის მეორე ტაძრის ის კედელი, რომელიც რომაელთა გეენიას გადაურჩა.

კედელთან უქუდოდ მისვლა არ შეიძლება. ამ კედელთან მიახლოებისას ქუდს ეტანება დიდი თუ პატარა, პრემიერი თუ ხელოსანი, პრეზიდენტი თუ მისი მხლებელი.

გოდების კედელს ყველა ქუდდახურული ეჩურჩულება, ანდობს გულისნადებს.

ყველას გვახსოვს, კედელთან მიახლოებისას მუყაოსაგან გამოჭრილ ქუდს მოგვაწოდებდნენ.

ეს ერთი ხანია გოდების კედელთან მიახლოებულ ადამიანს თეთრი ქსოვილის ლამაზად გამოჭრილ და შეკერილ ქუდს გვაწოდებენ. მასზე წერია: „მოშე გაბრიელის-ძეს მირილაშვილის სულის საოხად“. ეს გახლავთ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პირველი პრეზიდენტის ბ-ნი მოშე (მიშიკო) მირილაშვილის სულის მოსახსენიებლი რელიკვია.

მ. მირილაშვილის უფროსი ვაჟის – ბიზნესმენისა და მეცენატის მიხეილ მირილაშვილის ეს წამოწყება ჩინებულია იმითაც, რომ არა მხოლოდ ახანგრძლივებს განსვენებულის ხსოვნას, საქვეყნო პატივისცემის ღირსად აქცევს მას – არაერთ ტურისტსა თუ მლოცველს იმდენად მოსწონს ეს ლამაზი თავსართავი, რომ თან მიაქვს, როგორც ძვირფასი რელიკვია იერუსალიმიდან.

ᲠᲔᲣᲕᲔᲜ ᲔᲜᲝᲮᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ

26-29 ივლისს აზერბაიჯანში მიმდინარეობდა საერთაშორისო საველე ექსპედიცია — სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც არიელის უნივერსიტეტთან კავკასიისა და შუა აზიის ებრაელთა ისტორიის ინსტიტუტის გახსნას მიეძღვნა. ასევე, ამავე დღეებში ჩატარდა ფონდ „სტმეგის“ პროექტის („აზერბაიჯანის ებრაელობის ისტორიული, კულტურული და რელიგიური მემკვიდრეობის გადარჩენა“) და ცნობილი ეთნოგრაფის ილია ანისიმოვის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის პრეზენტაცია.

არიელის უნივერსიტეტთან კავკასიისა და შუა აზიის ებრაელობის ისტორიის ინსტიტუტის გახსნის ინიციატორი გახლავთ ფონდ „სტმეგის“ პრეზიდენტი, რუსეთის ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი გერმან ზახარიევი. ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა პროფესორი რეუვენ ენოხი — რუბენ ენუქაშვილი. ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, საფრანგეთის, საქართველოს, ისრაელის, რუსეთის წარმომადგენლები. კონფერენცია გახსნა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა **სერგეი ვაინშტეინმა**.

მოხსენება „კავკასიისა და შუა აზიის ებრაელობა. წარსული. თანამედროვეობა“ გააკეთა არიელის უნივერსიტეტთან ახლადდაარსებული კავკასიის და შუა აზიის ებრაელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა რეუვენ ენოხმა.

რედაქციისაგან: მთიელი ებრაელობის წარმომადგენელმა გერმან ზახარიევმა დიდი ფინანსები არ დაიშურა იმისათვის, რომ მეცნიერულად იქნეს შესწავლილი თავისი კუთხის ებრაელობის წარსული. რასაკვირველია, ვიდრე გერმან ზახარიევის ქართველი ებრაელი კოლეგა არ გამოიჩენს ანალოგიურ დაინტერესებას და ამ ინტერესს ფინანსურად არ უზრუნველყოფს, ქართველი ებრაელობის ისტორია ამ ინსტიტუტში არ იქნება სათანადო დონეზე. იმედს გამოვთქვამთ, რომ გერმან ზახარიევის ინიციატივა სამაგალითო გახდება.

ქართული პალესტინიანა

იცხაკ დავიდი

(დასაწყისი იხ. „მ“ №4,5,6,7,8,9)

ქართული ორიგინალური ლიტერატურის, მეორე ძეგლში (შუშანიკის მარტვილობის მე-5ს) მარტვლობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი, რომელიც მე-6 საუკუნის 70-იან წლებში უნდა იყოს დაწერილი, ევსტათის თანამედროვის მიერ, ქართლის პოლიტიკური მდგომარეობის ასახვასთან ერთად გადმოცემულია აგრეთვე (თვითევსტათის მიერ ვეჟან ბუზმირ მარზაპნის წინაშე) საქართველოს ებრაელთა რელიგიური ყოფა, არაებრაელ მცხოვრებთა მიმართება მათი სარწმუნოებისადმი, სალოცავი რიტუალებისადმი და ა. შ.

05.

ჯვრის მონასტერი მდებარეობს ზღვის დონიდან 750 მ. სიმაღლეზე, რეხავიას დაბლობზე, აქედან გამოდის რეხავიას ხევი და ერთვის რეფაიმის ხეობას, შორეკის დიდი ხეობის ერთ-ერთ განშტოებას; შორეკი ხმელთაშუა ზღვას ერთვის. დღეს ამ რაიონში რამდენიმე ებრაული უბანია გაშენებული. შა,არე ხეხედი (მოწყალების კარი), რეხავია, ნევე შაანანი. 1947-1949 წლებში წარმოებული ბრძოლებისას, მონასტრის წინა ფართობი გამოყენებულ იქნა პატარა თვითმფრინავების მისაღებ პლაცდარმად.

ისრაელის, სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ, მახლობელ მთაზე, დასავლეთით წამოიმართა ებრაული უნივერსიტეტი, ჩრდილოეთით — კირია (სახელმწიფო დაწესებულებების ქსელი), მახლობლადვეა ისრაელის პარლამენტის შენობაც.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში, პალესტინის და კერძოდ იერუშალაიმის მეგალითური ნაშთების კვლევას, ყურადღება მიაქცია ცნობილმა პალესტინოლოგმა და მეცნიერმა, ფრანგმა პ. ვენსანმა. მის კვალდაკვალ ჩვენც მოგვიხდა ჯვრის მონასტრის საფუძვლების, მომიჯნავე გალავნებისა და კედლების შესწავლა, შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ ქართველი ბერები მშენებლობისას ფართოდ იყენებდნენ საფლავ-სამარხების უხეშ ქვებს, რომლებსაც იმ ადგილებშივე შოულობდნენ. სამარხი ლოდები, და რომლებსაც ადგილობრივი მაცხოვრებლები მუდამ იყენებდნენ საკუთარი საჭიროებისამებრ.

მონასტრის ირგვლივ რადიუსში მდებარე დოლმენური ძეგლებისა და მეგალითური ქვების დათვალიერებისას მრავლად აღმოჩნდა ძვლების, მინისა და ლაქირებული თიხის ნამსხვრევები (ჭრელი კერამიკა), რაც გვავარაუდებინებს ქვედა რომაულ ეპოქას ან ბიზანტიურ ხანას. (შდრ. P.Vincent, Jerusalem, Croquis Topographieques, I9II; F.M.Abel, Rev.Bili.I922,#4,PP.594-598).

მონასტრიდან 1200 მეტრის დაშორებით, ვადიელ-ვარდესკენ, სამხრეთით, მალხას გზის მახლობლად, კიდევ არის წაგრძელებული, მაგარი, სწორკუთხოვანი მაგალითური ცისტა. (იხ.სათანადო ჩანახაზები).

01. ჯვრის მონასტერი — ამ სახელწოდების ქვეშ, საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა მოგზაურისა თუ პილიგრიმის მიერ გარკვეული ნიუანსით სახელწოდებული მონასტერის სახელდებით ვარიაციების, დავრწმუნდებით ზემოთქმულში.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ მლოცველ-პილიგრიმთა მოგზაურობას წმ. მიწაზე რელიგიურ-სარწმუნოებრივი მიზნების გარდა სხვა ასპექტებიც გააჩნდა: პოლიტიკური, ეკონომიური, დაზვერვითი, სამხედრო. სქემატურად აღწერდნენ ისინი წმ. მიწას, საფლავებს, ქრისტიანულ ადგილებს, სასწაულებსა და საკვირველებებს. ყველას გარკვეული სუბიექტურ-ინდივიდუალური მიდგომა ჰქონდა აღსაწერი — თუ ჩასანიშნი მოვლენა — ადგილებისადმი. ყველას როდი გააჩნდა თანაბარი მომზადების დონე. ჩაწერისა თუ აღნუსხვის ტექნიკა ან სათანადო ინტერესი კონკრეტული მოვლენებისადმი ან რელიგიური ობიექტისადმი. ეს მრავალწილად განაპირობებდა მნიშვნელოვანსა თუ მცირე ნიუანსობრივ ცვლილებებს მათ ჩანაწერებს შორის.

02 თავისთავად ცხადია, ქართული სამონასტრო-საეკლესიო არქიტექტონიკის შედარებითი შესწავლა, პალესტინასა და საქართველოში საინტერესო შედეგებსა და დასკვნებს მოგვცემდა ქართული მშენებლობითი ტექნიკის ევოლუციის ძირითად ტენდენციებზე. სავარაუდოა, კონკრეტულ პერიოდში საბაზილიკო-სამონასტრო ნაგებობების ტიპი არსებულ, რეალურ საეკლესიო-საპატრიარქო საჭიროებებს შეესაბამებოდა და აკმაყოფილებდა. მონასტერი — საცერდოტალური (წმინდა) საზოგადოების ინტერესებსა და მისწრაფებების გამომხატველი იყო.

ჯერ კიდევ 1864 წელს, ე. პიეროტტიმ, თავის წიგნში მოათავსა ჯვრის მონასტრის გეგმა და სიგრძივი ჭრილი.

1. ეკლესიაში შესასვლელი
2. სამლოცველო დარბაზი
3. გუმბათი
4. პატრიარქის სკამი
5. იკონოსტასი (ტიხური)
6. საკურთხეველი
7. მგალობელთა ადგილი
8. შესასვლელი წმ. საკანში
9. ჯვრის ხის აღმოცენებული ადგილი
ქვევით: ეკლესიის სიგრძივი ჭრილი.

წარმოდგენილი გეგმა მეტნაკლებად ასახავს და შეესაბამება მონასტრის დღევანდელ შიდა — გეგმობრივ სიტუაციას, პიეროტტის გეგმა არაერთხელ იქნა განმეორებული ან გადაბეჭდილი სხვადასხვა დროის ავტორებთან, ვინც პოპულარულად ან გარკვეული მიზნებით ეხებოდა ან იკვლევდა ჯვრის მონასტერს. რაიმე სახის გეგმობრივ ან ნახაზობრივ ცვლილებებს ჩვენ ვერ შევიტანდით ხსენებულ გეგმაში, ერთ გარემოებას რო არ მიექცია ჩვენი ყურადღება. თუ კარგად დავაკვირდებით ნახაზს შევნიშნავთ რომ იკონოსტასი ტიხრავს სამლოცველო დარბაზს საკუთრივ საკურთხევლისგან, მაშინ როცა მარცხენა მხარეს საკურთხეველსა და წმ. საკანს შორის არის პატარა ოთხკუთხა ოთახის მაგვარი საკანი თუ სათავსო, რომლის უკანა კედელიც ტიხრავს ამ ოთახს წმ. საკნის დერეფნის მაგვარი ბოლო ოთახისგან, სადაც ტრადიციულად ჯვრის ხის აღმოცენების ადგილზე მიანიშნებენ. ადრეული ექსპედიციების დროს, როცა ეკლესიის საერთო შესწავლით და ფრესკებისა და წარწერების გადმოწერა-შეჯერებით ვიყავით დაკავებულნი, საკურთხევლის მარცხნივი ოთახისათვის არ მიგვიქცევია სათანადო ყურადღება, მაშინდელმა ბერმაც იეროთეოსმაც არ გაამახვილა ჩვენი ყურადღება ამ ადგილზე. ერთ-ერთი უკანასკნელი ექსპედიციის დროს, ხსენებულ პატარა ოთახში მზერა მივაშტერე ორ საკმაოდ კარგად მოპირკეთებულ მარმარილოს ფილა ქვებს, რომლებიც იატაკს ფარავდნენ კედლიდან კედლამდე, მათზე კარადა იდგა საეკლესიო საგნებით. მარცხნივ, ფილასა და იატაკს შორის აშკარად ჩანდა შავი ხანი თუ სიცარიელე, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ფილები ფაქტიურად დაბლა იატაკის ქვეშ ჩასასვლელ კარს წარმოადგენდნენ, თავდაპირველი ვარაუდით, რასაც დადებითად ადასტურებდა მონასტერში ახლად მოსული არაბი ბრძენი ბერი ნარკისი, ქვემოთ სარდაფის თუ სამარხისმაგვარი ნაგებობა უნდა ყოფილიყო, რომლისკენაც კიბეების საშუალებით უნდა ყოფილიყო შესაძლებელი ჩასვლა. თავის ელვისებურად მოვარდნენ აზრები რუსთაველისა და ქართველ წარჩინებულთა, (ასევე მონასტრის იგუმენ-გამგებელთა და ძმათა) საფლავებს გარშემო, მით უმეტეს მთელი მონასტრისეული ტერიტორიის დათვალიერებამ და გულმოდგინე შესწავლამ რაიმე სამარხ-სამაროვნის ან ნეკროპოლის აღმოჩენის მიზნით სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ამ შესწავლისკენ კი გვიბიძგა იმ აზრმა რომ საუკუნეების განმავლობაში თავის გალავნებში ჩაკეტილი მონასტერი ფაქტიურად ციხე-ქალაქს წარმოადგენდა თავისი მცხოვრებლებისათვის, ამდენად სათუო იყო იმ აზრის დაშვება, რომ მიცვალებულებს, მით უმეტეს წარჩინებულთ, მონასტრის გალავნის იქით დაასაფლავებდნენ, ცხადი იყო რომ სამაროვანი-ნეკროპოლი მონასტრის გალავნებს შორის უნდა გვეძებნა, მაგრამ სად?!.. არსებულ სპეციალობასა და ლიტერატურულ-მეცნიერულ წყაროებში არსად არაა მინიშნება რაიმე სამარხზე ან ნეკროპოლისზე მონასტრის მთელს ფართობზე, კითხვა ლოგიკურად იბადებოდა, სად მარხავდნენ ჯვრის მონასტრელნი თავის მიცვალებულს? — პასუხი მრავალენოვან ლიტერატურასა და ნარატულ-ისტორიულ წყაროებზე არ ჩანდა, საკვირველიც იყო ის ფაქტი, რომ მიუხედავად სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციებისა, და ჩატარებული მუშაობისა არსად არ ყოფილა მითითებული საკურთხევლის მარცხნივი ოთახის უკანა კედელთან თეთრი მარმარილოს ფილებიანი ჩასასვლელის არსებობა; ამჯერად დავკმაყოფილდეთ ამ პატარა კორექტივის შეტანით ზემოხსენებულ გეგმა-ნახაზში და ეკლესიის საერთო სტრუქტურას დავუბრუნდეთ.

არქიტექტურულ-ტიპოლოგიური პარალელები ჯვრის მონასტერს ეძებნება როგორც საქართველოში, ასევე პალესტინაშიც. რასაკვირველია, სპეციალური, კომპეტენტური კვლევა ამ მიმართულებით საცნაურ მასალასა და საინტერესო შედეგებს გამოავლენს, დღეს კი შეგვიძლია მივუთითოთ ისეთ მიახლოებით არქიტექტურულ-სტრუქტურულ პარალელებზე, როგორიცაა სამთავისის კათედრალი (1030 წ.) და მე-8, მე-9 სს.ის ვაჩნაძიანთ ყველაწმინდას ეკლესიის გრძელი ცენტრალური დარბაზი (კახეთი)(იხ. В. Беридзеб Грузинская Архитектура. Тб., I967, стрю40-50).

საკუთრივ პალესტინური ქრისტიანული ნაგებობების თვალსაზრისით, საცნაურია ლოდში (ლიდდა) არსებული ბიზანტიური ბაზილიკის ტიპის წმ. გიორგის ეკლესიის არქიტექტურულ-ტიპოლოგიური მსგავსება ჯვრის მონასტრის ეკლესიასთან. (იხ. P.B.Meistermann, Guida di Terra Santa, p.83) შდრ. კირიათ ელ-ენაბის (მე-12ს.) ეკლესია, (გვ.109), ასევე 1130 წელს აშენებული წმ. მარია მაჯორეს ეკლესია (გვ. 155) და აგონიის ეკლესია (მე-12ს.)(გვ.258).

03 მონასტრის შენება-დაარსების ტრადიცია, ბერ-პილიგრიმთა გადმოცემით ბიზანტიის დედოფალ ჰელენეს სახელს უკავშირდება, თუმცა რაიმე სარწმუნო ისტორიული წყაროები ამის შესახებ არ მოგვეპოვება. შუა საუკუნეებში ჰელენეს მოხსენიება მონასტრის დამაარსებლად ზოგიერთ პილიგრიმთან, (იხ. ფრესკობალდი, ხურიუსი, ლადუარი. შდრ. კვარესმიუსი და სხვ.) ტ. ტობლერის აზრით, საბუთად არ გამოდგება. მისი აზრით, გაცილებით სარწმუნო უნდა იყოს ცნობა საქართველოს მთავრის, დადიანის მიერ მე-5 ს-ში ეკლესიის აშენების შესახებ, იმ ადგილზე, რომელიც მეფე კონსტანტინემ მიუჩინა მირიანს. ეს ცნობაო, დასძენს ტობლერი, ქართული წყაროებიდან მომავალი დადასტურებულია ვილიამისთან და სხვებთანაცო.

ერთ-ერთი პირველი ცნობა ჯვრის მონასტრის ისტორიული ადგილის შესახებ, მოგვეპოვება მე-6 ს. ბერძნულ ხელნაწერში. ჯვარი — სადაც მოჭრილ

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

რუბრიკას უძღვება პროფესორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი



ებრაული თემა ქართულ მწერლობაში

გიორგი ავალიშვილის „მგზავრობა“

(წერილი მეოთხე)

ებრაული საკითხით ძველი ქართული მწერლობის წარმომადგენელთა დაინტერესება ძირითადად ორი მიმართულებით ვლინდება: საქართველოში ებრაელთა დამკვიდრებასთან დაკავშირებული ამბების მოთხრობითა და პალესტინის წმინდა ადგილების მოსალოცად მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებათა აღწერით. მართალია, ქართულ წერილობით ძეგლებში, შიგადაშიგ, საკუთრივ ქართველი ებრაელების ცხოვრების შესახებაცაა საუბარი, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად ფრაგმენტულად ხდება, რომ ამ თვალსაზრისით მოწვდილი ინფორმაცია მეტისმეტად ღარიბია და სიღრმისეულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის იმჟამინდელ ქართველ ებრაელთა ცხოვრების წესსა და ხასიათზე.

მიუხედავად იმისა, რომ XVIII-XIX საუკუნეებში, პალესტინაში არსებული რელიგიური სიწმინდეების დასათვალიერებლად და მოსალოცად ქართველ მწერალთა და მოგზაურთა ყოფნის პერიოდში, ებრაული სახელმწიფო აღარ არსებობდა და ებრაელთა უდიდესი ნაწილი მშობლიური მიწიდან იყო განდევნილი, ამ მოგზაურულ შთაბეჭდილებებში ებრაელთა ისტორიასთან და იმჟამინდელ ყოფასთან დაკავშირებულ ამბებზეც ხშირად მახვილდება ყურადღება. ამ თვალსაზრისით დაინტერესებული მკითხველი ბევრ საგულისხმო ინფორმაციას მიიღებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მოგზაურის გიორგი ავალიშვილის (1769-1850 წწ.) იმ წიგნიდან, რომელშიც იერუსალიმში მისი მოგზაურობის ამბავია მოთხრობილი.

გ. ავალიშვილის „მგზავრობა“ მოცულობით საკმაოდ დიდი წიგნია, რომელშიც დაწვრილებით, დღიურების ფორმითაა აღწერილი ავტორის მოგზაურობის ამბავი თბილისიდან თბილისამდე. გ. ავალიშვილი თბილისიდან 1819 წლის 6 ივლისს გაემგზავრა და უკან 1820 წლის 17 ივლისს დაბრუნდა. „მგზავრობის“ საკუთრივ იერუსალიმური ნაწილი წიგნის დაახლოებით ერთ მეოთხედს მოიცავს, 80 გვერდზე მეტს. დასაწყისში მწერალი საგანგებოდ განუმარტავს მკითხველს მისი მოგზაურობის მიზანდასახულობის არსს. მისი თქმით, იგი სიყრმიდანვე ყოფილა დაინტერესებული „უცხოთა ქუეყანათა“ დათვალიერებით. ყველაზე მეტად კი თურმე იმ ადგილების ნახვაზე ოცნებობდა, „სადითცა ხორციელქმნილმან სიტყუამან ღმრთისამან და ჭეშმარიტმან ღმერთმან მოგვფინა ჩუენ ნათელი ღვთაებისა.“ უპირველესად სწორედ ამ ოცნების აღსასრულებლად გაემგზავრა ის პალესტინის სიწმინდეთა სანახავად.

წმინდა მიწაზე ყოფნის პერიოდში გ. ავალიშვილი გარდასულ საუკუნეებში იქ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების მოძიებასაც აქტიურად ცდილობდა. მათ შესახებ სათანადო წერილობითი მასალა ექვსი ათწლეულით ადრე იმ ადგილებში მყოფმა ტიმოთე გაბაშვილმაც შემოგვინახა თავისი „მიმოსვლით“. სამწუხაროდ, იერუსალიმში გ. ავალაშვილის მოგზაურობის პერიოდში ამ ეკლესია-მონასტრების რაოდენობა კიდევ უფრო მეტად იყო შემცირებული და „XIX საუკუნის დამდეგისათვის ქართველთა მოღვაწეობის კვალი იერუსალიმში უკვე სრულიად იყო წაშლილი“ (ელ. მეტრეველი). ბერძენი, სომეხი და სხვა მღვდელმსახურებისაგან განსხვავებით, იმ დროისათვის იქ უკვე აღარც ქართველი სასულიერო პირები იმყოფებოდნენ.

ტ. გაბაშვილის მიერ იერუსალიმში მოძიებული 13 მონასტრიდან გ. ავალიშვილის იქ ჩასვლის მომენტისათვის მხოლოდ ოთხი იყო გადარჩენილი და მათაც უკვე სხვები იყვნენ დაპატრონებულნი. მართალია, ამ ეკლესია-მონასტრებში აქა-იქ ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ქართული წარწერები და ხელნაწერები, მაგრამ მოვლენები იმგვარად ვითარდებოდა, რომ სულ მალე მათი ნაკვალევიც კი თითქმის აღარსად გადარჩებოდა. რეალურად, არცთუ ისე დიდი დროის გასვლის შემდეგ, ეს მართლაც ასე მოხდა და დღესდღეობით გ. ავალიშვილის მიერ დასახელებული ოთხი ქართული მონასტრიდან ქართული სულის ნაკვალევი ფაქტობრივად მხოლოდღა ერთში – აწ უკვე ბერძნების საკუთრებად ქცეულ ჯვრის მონასტერშია შემორჩენილი. ასე რომ, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ტ. გაბაშვილისა და გ. ავალიშვილის მოგზაურულ შთაბეჭდილებებს იერუსალიმის ქართული საეკლესიო ძეგლების შესწავლის თვალსაზრისითაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ.

გ. ავალიშვილი იერუსალიმში 1820 წლის მარტში ჩავიდა და თითქმის მთელი თვე დარჩა. ნაწარმოების მეორე ნაწილი სწორედ იერუსალიმური შთაბეჭდილებების აღწერით იწყება. ნაწარმოებში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი იერუსალიმის ისტორიული და იმჟამინდელი ყოფის დახასიათებას. მწერალი დაწვრილებით აღწერს ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს. მისი დაინტერესების უმთავრეს სფეროს ამ შემთხვევაში, მართალია, ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდა, მაგრამ იგი სხვა ძეგლების შესახებაც გვაწვდის სათანადო ინფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ ავტორის მიერ მოწვდილი ინფორმაციული მასალა ცალკეულ შემთხვევებში არაზუსტია, ისტორიული თვალსაზრისით მას მაინც უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგანაც ეს ყველაფერი იმჟამინდელი იერუსალიმისა და ისრაელის სხვა ქალაქების უშუალოდ თვითმხილველი კაცის მიერაა მოთხრობილი.

სამწუხაროდ, იერუსალიმში მწერლის ყოფნის პერიოდში მისი „ბჭენი და ქუჩანი თუ ითქმის სრულიად დაქცეული“ ყოფილა. ქალაქის ისტორიულ წარსულზე საუბრის დროს გ. ავალიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას იმ ტრაგიკულ ამბებზე ამახვილებს, რომელთაც ეს „ღვთის ქალაქი“ და ებრაელთა სახელმწიფო ნანგრევებად აქციეს. იერუსალიმისათვის სწორედ ასეთი უდიდესი ეროვნული უბედურების მომტან პიროვნებებად იქცნენ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი, რომის კეისრები: ტიტე და ადრიანე და სხვები. თუმცა, ამგვარ დარბევათა მიუხედავად, ქალაქი მაინც დგებოდა მკვდრეთით და ახალ სასიცოცხლო ენერგიას პოულობდა.

გ. ავალიშვილის მონათხრობში ამ გარემოებასაც არაერთგზის ესმება ხაზი. მაგალითად, მწერალი უდიდესი პატივისცემით იხსენებს იერუსალიმის განმაახლებელ მეფე დავითს, სოლომონის ცნობილი ტაძრის აშენების ფაქტსა და მსგავს ეპიზოდებს იერუსალიმის ისტორიიდან. მისი შეფასებით, ქალაქმა ახალი სასიცოცხლო ენერგია შეიძინა ქრისტიანული სარწმუნოების დაბადების შემდგომ. ამ თვალსაზრისით იგი განსაკუთრებით საბერძნეთის მეფე კონსტანტინეს გამოჰყოფს, რომელმაც იერუსალიმში ბევრი „დიდშუენიერი ტაძარი და შენობა აღაშენნა.“

გ. ავალიშვილის მიერ მოწვდილი ინფორმაციით, XIX საუკუნის ათიანი წლებისათვის იერუსალიმში სულ 15 000 კომლი ნაცხოვრება. მათგან — ებრაელები 10 790. მიუხედავად სხვა ხალხებთან მიმართებით აშკარა რაოდენობრივი უპირატესობისა, იმჟამინდელი იერუსალიმის ყოველდღიურ ცხოვრებაში ებრაელები მაინც უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ და მათ ნაცვლად ცხოვრებისეულ ასპარეზზე არაბები, თურქები, ბერძნები, ფრანგები, კოპტები, სომხები და სხვა ხალხები ყოფილან აღზევებულნი.

გარდა ქრისტიანული სიწმინდეებისა, გ. ავალიშვილს იერუსალიმისა და მისი შემოგარენის ის ადგილებიც დაუთვალიერებია, რომლებიც ძველი აღთქმიდან და ებრაელი ხალხის ისტორიიდანაა ცნობილი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „მგზავრობის“ ის ადგილი, რომელშიც ებრაელთა სინაგოგაში მწერლის მისვლის ამბავია მოთხრობილი. მწერლის ინფორმაციით, იერუსალიმში მცხოვრები ებრაელები ეკონომიკურად იმდენად გაჭირვებულნი ყოფილან, რომ სინაგოგის რიგიანად მოვლა-პატრონობაც კი არ შეძლებიათ. ერთადერთი სიმდიდრე, რომელიც მას სინაგოგაში უნახავს, მარტოოდენ ბიბლია ყოფილა.

იერუსალიმი, როგორც წმინდა ქალაქი, გ. ავალიშვილის დროსაც უდიდესი ინტერესის ობიექტად ყოფილა ქცეული მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ქრისტიანულ სამყაროში. ამის დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ ქალაქის შესახებ იმხანად საკმაოდ მრავლად იბეჭდებოდა წიგნები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, იერუსალიმში მოგზაურობის დროს მწერლისათვის საგანგებოდ უჩუქებიათ ამ ქალაქისა და მის მახლობლად არსებული წმინდა ადგილებისადმი მიძღვნილი ორი წიგნი — რუსულ და ბერძნულ ენებზე გამოცემული.

როგორც მკითხველი წინამდებარე მიმოხილვითაც დარწმუნდება, მიუხედავად იმისა, რომ იერუსალიმსა და პალესტინაში გ. ავალიშვილის მოგზაურობის ამსახველი წიგნის დაწერის უმთავრესი მიზანი იქაური წმინდა ადგილების აღწერა-დახასიათება იყო, მწერალი იმდროინდელი ებრაული ყოფისა და ღირსშესანიშნაობების შესახებაც გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს. ამ თვალსაზრისით „მგზავრობა“ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა იქნეს მიჩნეული ებრაელი ხალხის ისტორიის შესასწავლადაც უაღრესად ფასეულ წერილობით ძეგლად.

ინგლისში უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტი ებრაელი — ლორდ ჰეიბერგერი გახდა

64 წლის დავიდ ჰეიბერგერი, ცნობილი როგორც „ლორდ ჰეიბერგერი“, ინგლისში უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტს ლორდ ფილიპს შეცვლის.

თავისი დანიშვნის შემდეგ უზენაესი სასამართლოს ახალმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გააკეთებს ყველაფერ შესაძლებელს, რომ უზენაესმა სასამართლომ ღირსეულად შეასრულოს თავისი მოვალეობა — ქვეყნის კანონის დაცვა, იტყობინება ZMAN.com.

დავიდ ჰეიბერგერმა ოქსფორდის უნივერსიტეტი დაამთავრა. უზენაეს სასამართლოში საქმიანობა 1974 წელს დაიწყო. ორი წლის შემდეგ კი ინგლისში წამყვანმა იურისტებმა იგი მართლმსაჯულების საკითხებში სპეციალისტად დაასახელეს.

დავიდ ჰეიბერგერის ბიძამ რაბინმა გერმან ჰეიბერგერმა იმით გაითქვა სახელი, რომ ისლამური რევოლუციის დროს ირანში აქტიურ მონაწილეობას იღებდა 60 ათასი ირანელი ბავშვის გადარჩენაში.

კიროსი, არტასექსე და ერეკლე II

სპარსეთის მეფე კიროსმა ბაბილონი რომ დაამარცხა, ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ წასხმულ ებრაელებს გამოუცხადა, შეგიძლიათ მშობლიურ იუდეას დაუბრუნდეთო. თავისუფლება 70- წლიანი ტყვეობის შემდეგ მოვიდა.

იუდეის ებრაელობა ერთობ შეჭირვებული იყო – ბაბილონთან ომმა ქვეყანა გააჩანაგა – ვერა და ვერ მოითქვა სული, ვერც რიცხობრივ იმრავლა.

თითქმის რვა ათეული წლის შემდეგ სპარსეთის სხვა მეფე, ამჯერად არტასექსე, იუდეის სულიერ ლიდერად გზავნის რაბი ეზრას.

მეფე არტასექსემ ეზრას, თურმე, უთვალავი ოქრო-ვერცხლი გამოატანა. სასახლის კარმა რა დაინახა, მეფე ასე გაისარჯაო, თავადაც კარგად გაიკრა ჯიბეზე ხელი. ასე, რომ რაბი ეზრა დიდძალი საუნჯით დაუბრუნდა იუდეას. მეფური დიდსულოვნების და ტოლერანტობის დიდებული ნიმუშია დოკუმენტი, რომელიც არტასექსემ რაბი ეზრას გამოატანა: ეს ოქრო-ვერცხლი მხოლოდ ტაძრის აღდგენას მოხმარდესო, ხოლო იმით, რაც ტაძრის აღდგენის შემდეგ დაგრჩებათ, „ჰქმენით ის, რასაც შენ და შენს ძმათ ჭკუა-გონება გიკარნახებთ“. ეს ერთი. მეორე: და იქნებ, უფრო მნიშვნელოვანიც: „ხოლო შენ, ეზრა, შენი ღვთიური სიბრძნით დასვი მმართველნი და მსაჯულნი, რათა მათ განსაჯონ მდინარის გაღმელი ხალხი. განსაჯონ ყველა, ვინც არ შეასრულებს შენი ღმერთისა და მეფის კანონებს, დასაჯეთ სიკვდილით, ან განდევნეთ, ან ჯარიმა დააკისრეთ, ან არადა, ბნელში ჩაამწყვდიეთ!“

არტასექსე დიდი, ძლიერი პიროვნებაა და სჯერა, რომ სხვათა ღმერთი მის რწმენას არ გამორიცხავს, არც შეურაცხყოფს. ბედნიერება ის არის, როცა ადამიანებს აქვთ სურვილი და უფლება, ემსახურონ იმას, ვინც თავად მიაჩნიათ ღმერთად.

გადის 23-24 საუკუნე და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე ბაგრატიონი დაბა სურამიდან იღებს ერთი ებრაელი ქალბატონის – გვარად ფიჩხაძე – წერილს. ეს ფიჩხაძე მეფეს წერს: მამაჩემი გარდაიცვალა, ჩემმა ძმებმა მამაჩვენის ქონება გაიყვეს და მე არაფერი მარგუნეს. შენ ყოვლისშემძლე მეფე ხარ, იქნებ, რაიმე იღონო, ჩემი ძმები გონს მოიყვანო, რომ მამის ქონებიდან ჩემი წილი მივიღოო.

როგორც ხედავთ, ძმებზე დაწერილი ერთი ჩვეულებრივი საჩივარია. ძალზე უჩვეულო და მრავლისმთქმელია ერეკლე მეორის პასუხი: გამგებელსა სურამისასა. თუ ამ ქალს მოსეს რჯულის მიხედვით ძმათაგან წილი ეკუთვნის, მიეცესო.

მეფე ერეკლე მეორის ეს „რეზოლუცია“ რომ წავიკითხე, სახტად დავრჩი: არის სახელმწიფო, სახელმწიფოს აქვს დიდი ისტორია, თავისი კანონები, ჰყავს უზენაესი პირი – კანონმდებელიცა და აღმასრულებელიც და თავის, ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებას ავალებს საკითხი განსაჯოს სხვა ერის, ქვეყნის კანონთა მიხედვით?

რა საერთოა სპარსეთის მეფე არტექსესა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს შორის? სახელმწიფოც ჰქონდათ, კანონმდებლობაც, ძალაც მოსდევდათ, მაგრამ მათი შეხედულებები, ჰუმანისტური იდეალები კანონსაც კი სძლევდა. ასეთი იდეალები დიდბუნებრიობასა და სიკეთის ქმნაში იბადება.

იქნებ, ვინმე შემეკამათოს, მაგრამ მაინც მგონია: ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობისათვის ასეთი ტოლერანტობა ჩვენს განათლებულ, დემოკრატიის ზეობის ეპოქაშიც კი საოცნებოა.

რელიგიათა ზედაპირული ურთიერთობა

ლონდონში, ჰატროუს აეროპორტში რელიგიათა ურთიერთობის საკითხი უკვე თავისებურად მოუგვარებიათ: ერთ არცთუ ისე დიდ ოთახში მაგიდაზე ალაგია ახალი აღთქმა, ყურანი, ებრაული ლოცვანი, წინასწარმეტყველთა წიგნები. აქვე კარადაც დგას. კარადის უჯრებშიც ქრისტიანული, მუსლიმური, იუდაისტური წიგნებია.

რისთვის არის ეს ოთახი?

იმისათვის, რომ ამათუიმ ქვეყანაში, ქალაქში გაფრენის მომლოდინე ადამიანები, თუ ლოცვის ჟამი დაუდგებათ, აქ შემოვიდნენ, ილოცონ. აქვეა რელიგიური ატრიბუტიკა, განსაკუთრებით ბევრია მუსლიმური – პატარა ხალიჩები, რომელსაც ლოცვისას იატაკზე ჰფენენ. აი, მუსლიმი კაცი ხალიჩაზე დაჩოქილა. გატაცებით ლოცულობს, წელში იკაკვება. მეორე მუსლიმმა კი 5-6 წლის ბიჭი დაიყენა გვერდით, მეუღლე და პაწია შვილი აქვე ელოდებიან – ათიოდ ნაბიჯზე.

ვინც არ უნდა იყოს, რომელი რჯულისაც, მლოცველი კაცი ლამაზად მოჩანს, სათნოდ. ყოველი მლოცველი, რა რწმენისაც არ უნდა იყოს,სიმშვიდეს მიმოაფენს.

ნახევარ საათზე მეტი ვიყავი ამ ოთახში. არც ქრისტიანი, არც იუდეველი აქ არ შემოსულა.

მიუნჰენის აეროპორტშიც ცდილან რელიგიათა დაახლოებას – იმის შეგონებას, რომ ღმერთი ერთია. რელიგიური რეკვიზიტი აქაც უხვადაა – მუსლიმური, ქრისტიანული, იუდაისტური.

ესენი კი ცდილან, მაგრამ...

ოთახის შუაგულში თეთრი სვეტი დგას. ამ სვეტზე მუსლიმებს, ქრისტიანებს, თავთავიანთი მოსაზრებები მიუწერიათ. ყოველი ამათგანი თავიანთ ღმერთს ამჯობინებს – მუსლიმი – ალაჰს, ქრისტიანი – ქრისტეს. იუდეველებს არაფერი მიუწერიათ. სვეტზე ორი ქართული წარწერაც შევნიშნე: „ქრისტე!“ ღაღადებს ერთი, „ღმერთი მხოლოდ ქრისტეა“ — წერს მეორე.

კეთილი და პატიოსანი. ყველა თავის ღმერთს მიიჩნევს უმჯობესად, მაგრამ მუსლიმთა წარწერები რომ ათჯერ მეტია ქრისტიანულზე? წერენ არაბულად, ინგლისურად, გერმანულად.

მუსლიმური ზეგავლენის ზრდა სხვა ფაქტორებშიც ჩანს: აეროპორტის დირექცია ინფორმაციას გერმანულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე გვაწოდებს. ბებერი ევროპის ძარღვებში თურქული სისხლი ხმიანდება. ასე მეჩვენება, ეს არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვიდრე ის, რაც მოხდა 1453 წელს,როცა დაეცა კონსტანტინეპოლი. მაშინ ოტომანები ხმალს ისე ძლიერ იქნევდნენ, ქრისტიანობის ნავსაყუდელმა – ბიზანტიამ დაიჩოქა. დღეს ხმალი საჭირო აღარ არის, მუსლიმობა ევროპული ტოლერანტობით, დიდი შრომით, მუყაითობით იმკვიდრებს ადგილს გოთების საუფლოში.

რა იქნება ხვალ?

უფლის დღე

წმინდა ჰყავ დღე იგი შაბათი, ექვსი დღე იშრომე, ოფლი ღვარე, მეშვიდე დღე კი უფლისა იყოსო, ღაღადებს სინაის მთიდან მოსეს მიერ ჩამოტანილი ერთ-ერთი მცნება.

დიასპორის ებრაელები შაბათის განსხვავებულობას და განსაკუთრებულობის სრულყოფილად ვერ ვგრძნობთ – ადამიანი, რომელი რელიგიისაც არ უნდა იყოს, ცხოვრების რაგვარი წესითაც არ უნდა ცხოვრობდეს, გარემომცველი სამყაროს დიდ ზეგავლენას განიცდის. დიასპორის ებრაელობისათვის კი გარემომცველი სამყარო შაბათსაც იგივეა, როგორც ორშაბათს, სამშაბათს თუ ხუთშაბათს.

შაბათის რაობას მკაფიოდ, თვალსაჩინოდ ისრაელში შეიცნობ. პარასკევს მზე რომ ფეხაკრეფით ეცლება მისგან გათანგულ ქუჩებს, ამ მუდამ მოძრავ, ფუტკრის სკასავით ახმაურებულ, წუთისოფლის საზრუნავით აფორიაქებულ ქალაქებში სულის მომფონებელი სიმშვიდე ისადგურებს. სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში შეიცნობთ, თუ რა განსხვავებაა სადაგ დღესა და უფლის დღედ შესახელებულ შაბათს შორის: აღარ მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, იხურება ყველა საწარმო, ორგანიზაცია, მაღაზია. კოხტად მორთული, გაბრწყინებული მზერის ადამიანები ლამის ფეხაკრეფით მიეშურებიან სალოცავებისაკენ.

დასადგურებულ სიმშვიდეს კანტიკუნტად ჩავლილი მანქანის ძრავის ხმა თუ დაარღვევს. ის მანქანაც ჩაივლის და გარემოს ისევ სიმშვიდე ეფინება. ლოცვად მიმავალნი ჩავლილ მანქანას დანანებით, თავის უკმაყოფილო გაქნევით აყოლებენ თვალს. იციან: ამ მანქანებში მემარცხენე პარტიის წევრები, ან საბჭოეთიდან, უმეტესწილად რუსეთიდან, ჩამოსულნი სხედან. ისინი მიიჩნევენ, რომ შაბათი მხოლოდ იმით განსხვავდება სხვა დღეებისაგან, რომ სამსახურში არ მიდიხარ. მეტი არაფერი. უფლის მსახურება — ებრაელთა უწინარესი მოვალეობა? ზღვისპირა ქალაქში უფრო გამოკვეთილია შაბათისა და დასვენების დღის რაობა: ადამიანების (რეპატრიანტთა) ერთი ნაკადი ზღვისკენ, პლიაჟისაკენ მიეშურება, მეორე ნაკადი კი საპირისპირო მხარეს — სინაგოგისაკენ.

იწყება ლოცვა და საამო სახილველია, ადამიანები როგორ შეჰღაღადებენ უზენაესს, როგორ ავედრებენ მშვიდობას, ისინი სხვადასხვა ფერის არიან, იქნებ, ერთმანეთის მოქიშპენიც, აქ კი ერთიანდებიან – ერთსა და იგივეს ავედრებენ უზენაესს. სხვადასხვა ინტონაციით ლოცულობენ, სხვადასხვა კილოზე. ამათი ყურის მიგდება ბევრ საინტერესოს დაგანახებთ. მაგალითად, ქართველ ებრაელთა ლოცვის ინტონაციაში შესაძლოა, პოპულარული ქართული სიმღერების ინტონაციაც შეიცნოთ (ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახლდათ ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინის რაფაელ ელაშვილის ლოცვის მანერაში). ისე გულდაგულ ლოცულობენ, ისე შეჰღაღადებენ ღმერთს, თითქოს იგი აგერ, ახლოს იყოს და ყურს უგდებდეს, ვინ როგორ ლოცულობს, ვინ რამდენად გულწფელია უზენაესის ხოტბისას. ღრმად მორწმუნენი, ე.წ. „ხარედიმები“, დაბეჯითებით გვიმტკიცებენ: არა იარაღით, არა თქვენი სამხედრო სტრატეგიით, ჩვენი ლოცვით არსებობსო ისრაელი – ჩვენს ლოცვას შეისმენსო ღმერთი. აბა, რა აკავებს, რა თრგუნავს ამოდენა მტრულ სამეზობლოს, ყოველ დილას, ყოველ საღამოს წალეკვით რომ გვემუქრება. ებრაელები ზღვაში უნდა გადავყაროთო, გაიძახიან, ჩვენ კი კვლავ და კვლავ ვართ და ვიქნებით. ასეთია ნება უზენაესისა. ჩვენს ისტორიაში, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი ღმერთი მონაწილეობს“.

ისიც საამო სახილველია, ლოცვის დამთავრების შემდეგ კმაყოფილი, სახეგაცისკროვნებული ადამიანები ღვთისმადიდებელი პიუტების ღიღინით როგორ ბრუნდებიან შინ.

შაბათი ლოცვაში, მთელი კვირის ნაჯაფარი სხეულის შვებაში გაილევა და როცა საღამოს ცაზე ვარსკვლავები დასხდებიან, ისევ აფორიაქდება, ახმაურდება ქვეყანა. იწყება ცხოვრება – ბრძოლა გადარჩენისათვის. „ხარედიმები“ კი კვლავ ბიბლიას, თალმუდს, წინასწარმეტყველთა წიგნებს ჩასცქერიან და შესაძლოა, თავზე ისე დაათენდეთ, ვერც კი იგრძნონ.

ესენი არ ხმაურობენ – უხმოდ, უდრტვინველად ევედრებიან ღმერთს. იქნებ, ამ ახმაურებულ ფუტკრის სკაში უზენაესი სწორედ იმათ ლოცვას გამოარჩევს, ვინც მის მცნებებს მტკიცედ მისდევს?

ვინ იცის!..

შემოსვა-გახდა

ადამიანის შემოსვა უხსოვარ დროს დაიწყო. გაჩენიდან კარგა ხნის შემდეგ გადადგა ნაბიჯი პროგრესისაკენ: მიხვდა, რომ შიშველმა არ უნდა იაროს. შემოსვის პროცესი საუკუნეები გრძელდებოდა – ნელ-ნელა იმატებდა ტანსაცმელს. მერე ეს პროცესი დამთავრდა. საზოგადო ადგილებში ერთობ შემოსილი გამოდიოდა – ისე იმოსებოდა, როგორც შეეძლო. დღესაც ასეა, მაგრამ ამის პარალელურად გახდის პროცესი მიმდინარეობს – ადამიანი სამოსისგან ერთობ დაჩქარებული წესით ითავისუფლებს თავს. სოფლის ერთი ორღობიდან მეორეში კი არა, ქალაქიდან ქალაქში შილიფად გადადის. იმასაც კი ვხედავ, ერთი სახელმწიფოდან მეორეში, კონტინენტიდან კონტინენტზეც კი მოკლე შარვლითა და ფლოსტებით რომ მიემგზავრება. გაუბრალოვდა ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულება.

ამ პროცესში რა ადგილი უჭირავს მწერლობას? ან სჭირდებათ ამ ადამიანებს სიტყვაკაზმული მწერლობა? ადრეულ წლებში რკინიგზის სადგურებში, ავტობუსებში, მეტროში, ხშირად მინახავს წიგნს ჩაჩერებული ადამიანი. დღეს კომპიუტერებს ჩასჩერებიან. შიგ ახალ წამოწყებათა პროექტებს, აუდიტთა ანალიზის მასალებს კითხულობენ. ერთი შევნიშნე: პროზას კითხულობდა.

სიმართლე თუ წინდახედულობა?

ძალიან ძნელია განსაზღვრო, რა სჯობია, სიმართლე თუ შორსგახედულება. კარგად მახსოვს, ერთი ასეთი სენტენცია: ნუ იქნები მართალი, იყავი წინდახედული, გონიერი. მახსოვს, მაგრამ სრულად ვერ ვიზიარებ. სიმართლის უკანა პლანზე გადაწევა, სიმართლისადმი გვერდის ავლა ზნეობრიობას ვნებს. აი, ნახეთ, რას ღაღადებს ბიბლიური მეფე დავითი ფსალმუნებში: „მართლის მცირედი სჯობია, ცოდვილთა დიდ სიმდიდრეს, რამეთუ მკლავნი ცოდვილთა დაიმსხვრევიან, ხოლო მართალთა საყრდენი უფალია“ (37, 16-17), „ჩემი ფარი უპყრია ღმერთს, გულმართალთა მხსნელს. ღმერთი მართალი მსაჯულია“ (7, 12), „რამეთუ, შენ აკურთხებ მართალს, უფალო!“ (5,13) „მიპასუხე, ოდეს მოგიხმობ ჩემი სიმართლის ღმერთო!“ (4,1).

ხალხმა კი შეჰქმნა ზემოთმოხმობილი სენტენცია. ასე მგონია, ეს არის სიმართლის მსახურებით ვნებული ხალხის წამოძახილი: ასწონ-დასწონე, რას მოგიტანს სიმართლის თქმაო, ისევე, როგორც ქართველმა კაცმა: „მიჰყევ, მიჰყევ სიმართლესო, გამოგილევს სინათლესო“.

რატომ არის მიუღებელი რჩევა, მაგრამ მაინც...

მე რომ ეს რჩევა კარგად მქონოდა შესისხლხორცებული, ასე არ გავინაწყენებდი ისეთ დიდებულ ქალბატონს – მსახიობსა და საბავშვო მწერალს, როგორიც თამარ წულუკიძე გახლდათ. ჩინებული საუბარი სჩვეოდა — დინჯი, შთამაგონებელი: 30-იანი წლების პირველი ნახევრის რუსთაველის თეტრის დრამატულ ამბებს საინტერესოდ ყვებოდა.მეორეც, წამეკითხა, გამეგო ალ. ახმეტელისეული სპექტაკლების მშვენება გახლდათო. ყველაზე მთავარი: ახმეტელის მეუღლე იყო და დიდი რეჟისორი რომ დახვრიტეს, მას, როგორც უღლის გამწევს, პატიმრობა მიუსაჯეს – ასეთი წესი ჰქონია დიდ დიქტატორს.

გადასახლებიდან დაბრუნებული მინსკში ცხოვრობდა. ვგონებ, სამხედრო პირზე, გენერალზე გახლდათ გათხოვილი. საქართველოში დროდადრო ჩამოდიოდა.არა მხოლოდ თბილისში, თეატრალური საზოგადოების სოხუმის დასასვენებელ სახლშიც ვხვდებოდი.

საქართველოს ტელევიზია მინსკში ჩასულა და მისი შემოქმედებითი პორტრეტი მოუმზადებია. საინტერესოდ გვესაუბრებოდნენ მის მიერ განხორციელებულ როლებზე, გვაცნობდნენ იმ ტანჯვის გზას, გადასახლებაში რომ გაიარა.მერე კი თავად ქალბატონმა თამარმა ისაუბრა თავის ცხოვრებაზე, იმჟამინდელ ცხოვრებაზე, საბავშვო წიგნებზე.

ამასობაში ოპერატორი გვაჩვენებს ქალბატონი თამარის ოჯახურ გარემოს, მისი წიგნების გარეკანს, შესრულებული როლების ფოტოებს. ოთახის კედლებზე ბევრი ფოტოა, შეხვედრები, მეგობრები, მეუღლე – გენერალი, ძალიან ბევრი ფოტო... ბევრი სახე, ნაცნობი, უცნობი...

და ერთობ გულსაკლავი რამ... არსად არ არის სანდრო ახმეტელის ფოტო... ფოტოსურათებს შორის არ არის სანდრო ახმეტელის – მეუღლის, დიდი ქართველი რეჟისორის, ამ მსახიობის როლების არქიტექტორის ფოტო. გული მეტკინა, თითქოს ალექსანდრე ახმეტელი იმ დღეს ხელახლა დახვრიტეს. სიბრალული დამეუფლა... გულისტკენა კარგა ხანს მდევდა თან.

ორიოდ თვის შემდეგ ისევ თეატრალური საზოგადოების დასასვენებელი სახლი სოხუმში... აგვისტოს ერთ წყნარ საღამოს, ბაასისას ქალბატონ თამარს ვუთხარი, თქვენზე კარგი გადაცემა ვნახე და თქვენს ბინაში კედლებზე გამოკრულ ფოტოებს შორის, სანდრო ახმეტელის ფოტო რომ ვერ ვიპოვე, გული დამწყდა-მეთქი.

არ ვიცი, ვიყავი თუ არა მართალი, უნდა მეთქვა თუ არა, ახმეტელის ქვრივის, დღეს კი სულ სხვა პიროვნების მეუღლისათვის ეს სიტყვები. მაშინ, ამაზე არც დავფიქრებულვარ, უბრალოდ საუბრისას გულისტკივილი გავუზიარე. ამ კითხვაზე მოგვიანებით დავფიქრდი, მაშინ, როცა ქალბატონ თამარისგან სიცივე ვიგრძენი.

აი, სიმართლისა და წინდახედულების ურთიერთმიმართება.

სიმართლე, ცხადია, დიდი ძალაა, მაგრამ წინდახედულებასთან ხშირად კოჭლობს. იქნებ, ბრძნულია ის ჩემს მიერ დაწუნებული სენტენცია? ან ვის სჭირდებოდა ჩემი სიმართლე, ან რა სიკეთე მომიტანა? არა-რა. ზოგიერთი გადამკიდა კიდეც, ძლიერ გადამკიდა. ამით კი სხვები სარგებლობენ. იმ ჩემს მომდურავს იყენებენ.

„თუ სპექტაკლი მოგეწონებათ, შემოწირულობაც არ დაიშუროთ“!

„გრანდ ჰაიათ ჰოტელში“ პორტიე ვიდრე ნომრის გასაღებს მომცემდა, პაწია ქაღალდი გამომიწოდა, ამ ნომერზე დარეკვას გთხოვენო. დავრეკე. თურმე ირაკლი კავსაძე მირეკავდა, ერთ საათში გენერალური რეპეტიცია გვაქვს, იქნება მოსვლა მოახერხოთო. ნიუ-იორკიდან ვაშინგტონამდე მსუბუქი მანქანით წამოვედი, ხუთი შტატი გამოვიარეთ, გზაც მშვენიერია, მაგრამ მაინც მომთენთავი. დაღლილობა არაფრად ჩავაგდე და თეატრისაკენ გავემართე. ირაკლიმ როგორც ამიხსნა, ისე მოვიქეცი: ჩინურ უბანში მეტროში ჩავედი, ყვითელ მატარებელს კარგა ხანს ველოდე და „კრისტალ სიტიმდე“ ოც წუთში მივედი. „კრისტალ სიტის“ მეტროდან ქუჩაში არც უნდა გამოხვიდე, პატარ-პატარა დაფები იოლად გაპოვნინებთ „სინეტიკ თეატრს“.

ამ თეატრთან დიდი ხანია ვმეგობრობ, ვაშინგტონში ყოველ ჩასვლისას მოვდივარ აქ, რადგან ნიჭიერი ადამიანების საკრებულოს ვხვდები. ჩვენი პანტომიმის დიდი ოსტატის ამირან შალიკაშვილის მოწაფეები — პაატა და ირინე ციფურიშვილები, ადრე რუსთაველის თეატრის მსახიობი ირაკლი კავსაძე, ახალგაზრდა კომპოზიტორი კოკი ლორთქიფანიძე, ჩვენს დიდ სცენოგრაფს გოგი მესხიშვილს, ამ თეატრის არაერთი სპექტაკლის სცენოგრაფიაზე უმუშავია და წარმატებითაც, ახლა კიდევ ერთი ქართველი ყმაწვილის სახელი შემატებია ამ თანავარსკვლავედს – ვატო ციფურიშვილი.

იმდენი ქართული გვარი ჩამოვთვალე, ვშიშობ, მკითხველს არ შევუქმნა შთაბეჭდილება თითქოს ვაშინგტონის ქართულ თეატრში მიმეჩქარებოდეს, არა, ეს არის ამერიკული თეატრი, ამერიკის თეატრალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, რომელიც ამერიკული თეატრალური პრემიების განაწილებისას აშშ-ს არაერთ დრამატულ თეატრს გაჯიბრებია და უჯობნია კიდეც – წლის პრემიები ხან პაატას, ხან გოგის, ხან ირინას, და ხან ირაკლის მიუღია.

ამის თაობაზე არაერთხელ დაუწერია „ვაშინგტონ პოსტსა“ თუ „ნიუ-იორკ თაიმსს“, ამის თაობაზე მანამ ვიცოდი, სანამ ციფურიშვილებს გავიცნობდი – ჯერ კიდევ ნიუ-იორკში მიამბობდნენ: ქართველებმა ვაშინგტონში ისეთი თეატრი შექმნეს, უმალ მოექცა ამერიკის თეატრალური სამყაროს ცენტრში, პრემიებსაც ხშირად ღებულობენო.

და მე მაგონდება დიდებული ვასო ყუშიტაშვილი, რომელმაც უცხო ქვეყანაში —საფრანგეთში შექმნა თეატრი „ატელიე“. ამ თეატრმა გარკვეული როლი ითამაშა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგული თეატრის ისტორიაში.

„სინეტიკ თეატრი“, რასაკვირველია, ამერიკულია. მისი მსახიობები აშშ თეატრალურ სასწავლებლებში აღზრდილი ახალგაზრდები არიან, მაგრამ თეატრის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა ციფურიშვილია, მან შეჰქმნა ეს თეატრი. პაატას მაგალითზე კიდევ ერთხელ ვხედავთ ამირან შალიკაშვილის მოღვაწეობის მადლს – მისმა აღზრდილებმა არაერთ ქვეყანაში დაიგდეს კარგი სახელი. პაატა და ირინა დღეს ცოტა იუმორითაც გვიამბობენ იმ გასაჭირზე, რაც მათ აშშ-ში ჩამოსვლის პირველ წლებში გადახდათ. იმ დიდ, მძიმე, თავაუღებელ შრომაზე, რომელიც ამ თეატრის შექმნის პირველ წლებში გადახდათ. ამერიკა ტანჯვა-ვაებით, თავისუფალი, პატიოსანი შრომითა და ნიჭიერებით, სიხარულისაკენ მიმავალი ქვეყანაა. ამათაც ასე იშრომეს, იტანჯეს კიდეც და აშშ თეატრალური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცნენ. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ ორიოდე წლის წინათ ამ თეატრს საკუთარი შენობა მისცეს. ჩინებული ნაგებობაა – დაახლოებით 500 ადგილიანი დარბაზით. მეტროდან 3-5 წუთის სავალზე. აჰა, მდინარე პოტომაკთან მეტროს მატარებელი ზედაპირზე ამოყვინთავს, პოტომაკს გადაივლის, ისევ მიწის სიღრმეში შევა და მომდევნო გაჩერებაც „კრისტალ სიტია“. არ ვაგვიანებ. რვა საათი ჯერაც არ შესრულებულა. თეატრისაკენ მიმავალ გზაზე მხვდება მინიშნებები, თუ როგორ მივიდე თეატრთან. „სინეტიკ თეატრის“ ბანერები, სცენები სპექტაკლებიდან. სამწუხაროდ, არსად არის ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელის“ ბანერი. ეს ამ თეატრის ადრეული წლების სპექტაკლია და როგორც მეუბნებიან, ძალიან კარგი სპექტაკლი. მუსას როლში კახი კავსაძეს უთამაშნია. კაცს, რომელმაც ინგლისური არ იცის, მაგრამ მისი აქტიორული ნიჭი აქაც გამოჩნდა – იგი თურმე, ძალიან კარგი ინგლისურით მეტყველებდა სცენაზე და სპექტაკლის მერე, როცა მაყურებელს უბრალო შეკითხვაზე პასუხი ვერ გასცა, იმ მაყურებელს არაფრით არ დაუჯერებია, რომ ნახევარი საათის წინ სცენაზე სწორედ ეს კაცი მეტყველებდა მშვენიერი ინგლისურით.

დღეს გენერალური რეპეტიციაა, ამიტომ მაყურებელი არც უნდა იყოს. მაგრამ დარბაზში მაინც არიან ადამიანები, როგორც მერე შევიტყვე, ესენი თეატრის ადმინისტრაციული საბჭოს წევრები, მეგობრები არიან, რეჟისორს აინტერესებს უწინარესად მეგობრებისგან მოისმინოს მოსაზრებები, შენიშვნებიც.

თამაშდება პაატა ციფურიშვილისა და ბენ გუნიშის პიესა „ჯარისკაცთა სამყაროში“.

ერთი თვის წინაც – მაისის დამდეგს ვიყავი ვაშინგტონში, „სინეტიკ თეატრს“, ცხადია, ვერც მაშინ ავუარე გვერდი, რეპეტიციაზე გახლდით სულ ერთი საათით. ჯარისკაცთა ლაღობის, გართობა-დასვენების რეპეტიციას ირინა ციფურიშვილი ატარებდა, უფრო სწორად, ცეკვებს დგამდა. იმ სცენით სპექტაკლის სტილისტიკა ვერ შევიცანი, ეს იყო ხალისიანი სცენა გოგო-ბიჭი ჯარისკაცების ლაღობისა. მერე სპექტაკლში ის სცენა ერთობ საჭირო და შინაარსით დატვირთული ვიხილე. ახალგაზრდები მომქანცველი ვარჯიშის — სამხედრო წრთვნის შემდეგ ხალისობენ, მაგრამ ამ ხალისობას ტერორისტთა თავდასხმა შეწყვეტს. ამ თავდასხმის შედეგი – ერთი დაღუპული მეგობარი, ყველასათვის საყვარელი ჯარისკაცი. სპექტაკლი გვიამბობს ერთი რაზმის ყოველდღიურ ყოფაზე, სიკვდილ-სიცოცხლის შერკინებაზე, იმაზე, თუ რაოდენ მწარედ, დრამატულად განიცდიან ჯარისკაცები მეგობრის დაკარგვას.არის სისტემატური შეტაკებები ტერორისტთა დაჯგუფებასთან, რომელსაც ერთ-ერთი ჯარისკაცის – სონის (ვატო ციფურიშვილი) მამა (ირაკლი კავსაძე) მძევლად ჰყავთ აყვანილი.სონი ყოველნაირად ცდილობს მამის ადგილსამყოფელის გაგებას. იგი ახერხებს ერთ-ერთი დატყვევებული ტერორისტის სულში ადამიანური გრძნობების გაღვივებას და ამ გზით გაიგებს კიდეც, თუ სად ჰყავთ მამამისი. ტარდება სამხედრო ოპერაცია – სპექტაკლის ერთ-ერთი შესანიშნავი, გამომგონებლობით აღვსილი სცენა – და მამას ანთავისუფლებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, გამარჯვება მსხვერპლს მოითხოვს – იღუპება შვილი. თავისუფლებას დიდი ფასი ადევს, თავისუფლებამ ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე მოითხოვა. ამდენად გამარჯვება თალხითაა მოსილი.

პაატა ციფურიშვილი და ბენ გუნიში ცდილობდნენ პიესა დოკუმენტურ მასალაზე – ჯარისკაცების ნამდვილ ყოფაზე აეგოთ. ამიტომ ხვდებოდნენ ავღანეთის ჯოჯოხეთგამოვლილ მებრძოლებს, დაჭრილებს. თურმე მათი ნაამბობი იმდენად მწვავე, ემოციური იყო, მომავალი პიესის ავტორები ცრემლსაც კი ვერ იკავებდნენ.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს: პიესის ფაბულა ერთობ მარტივია. ავტორებმა ჯერ სპექტაკლი, მისი კონცეფცია, ვიზუალური ფორმა მოიფიქრეს და მერე შეჰქმნეს მისი შესაბამისი ტექსტი. ჩვენც ხომ სპექტაკლზე მივდივართ და არა პიესის კითხვაზე. ამიტომ ხაზგასმით ვამბობ: აქ არა ლიტერატურული მასალა, ტექსტი, არამედ სპექტაკლია საინტერესო, ერთობ სანახაობრივი. იგი ისეა მოფიქრებული, სცენური სახილველი ისეთ დონეზეა აყვანილი, რომ მაყურებელი საათნახევრის განმავლობაში აქტიურადაა ჩაბმული მოქმედებაში. არის ერთობ ემოციური დრამატული სცენებიც და არის პლასტიკური, მოძრაობის თეატრის ვირტუოზული გამოვლენაც. ამგვარ სცენებში ჩინებულად იკითხება რეჟისურა და ქორეოგრაფია. მიგნებები, ნახაზი, რომელსაც ქორეოგრაფი ქმნის, მსახიობს ავალდებულებს არა მხოლოდ კარგად ფლობდეს სხეულს, იცოდეს ყოველი მოძრაობის ფასი, არამედ შეძლოს მოძრაობით რეჟისორის კონცეფციის გამოხატვა. ზანა გან-კუნგი, ჯუდი ნეიროფი, ჟოზეფ კარლსონი, დალას ტოლენტინო, მატეუ ვარდი, პასკუალე გუდილი, ჯესიკა ტორნი, კეტრინ კონერსი, ფილიპ ელეტჰერი შესაშურ ოსტატობას ავლენენ.

სპექტაკლში უხვადაა გამოყენებული ვიდეოკადრები, იმდენად უხვად, რომ გენერალური რეპეტიციის შემდეგ რეჟისორის დაკვირვებულმა თვალმა იოლად დაინახა ის, რაც ზედმეტი იყო. მომდევნო – საპრემიერო დღისათვის მან მთელი ათი წუთი „ამოჭრა“ სპექტაკლში.

ხოლო რაც შეეხება სამხედრო ოპერაციის სადადგმო მხარეს, რეჟისორის მიერ ხომ ჩინებულად, დიდი გამომგონებლობითაა მოფიქრებული, აქ მსახიობებიც დიდ პატივისცემას იმსახურებენ: მათ ძალიან კარგად შეასრულეს რეჟისორის ნახაზი. ამ ერთი სცენითაც კი ცხადია, რაოდენი პოტენციის დამდგმელი რეჟისორია პაატა ციფურიშვილი.

სპექტაკლი ვნახე. კმაყოფილი გახლდით, მაგრამ მაინც მეწადა პრემიერის ნახვა. მეწადა დავკვირვებოდი მაყურებელს, მაინტერესებდა თეატრისა და მაყურებლის ურთიერთობა. საბედნიეროდ, ებრაული ახალგაზრდობის განათლების კონფერენციის (რისთვისაც გახლდით ჩასული ვაშინგტონში), დღის წესრიგმა საშუალება მომცა 2 ივნისს პრემიერაზეც მივსულიყავი.

თვალში მომხვდა ახალგაზრდობის სიმრავლე, რაც შეეხება საყელოში ბაფთებით მორთულ ხნოვან მაყურებელს, შევამჩნიე, რომ ისინი ამ თეატრის მუდმივი მაყურებლები არიან. ირინა და პაატა ციფურიშვილები მათ ისე ეგებებოდნენ, როგორც მეგობრებს, კარგა ხნის ნაცნობებს. შემიმჩნევია: ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის თეატრებში მაყურებელთან ურთიერთობის საკითხი ერთობ მნიშვნელოვანია.

სპექტაკლის შემდეგ მაყურებელი არ იშლება, საუბრობენ, ერთმანეთს მოსაზრებას უზიარებენ, ამასწინათ, ერთ-ერთი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, (თეატრში „JT“) მაყურებელმა ათიოდ წუთი შეისვენა, მერე სცენაზე დასხდნენ რეჟისორი, სცენოგრაფი, კრიტიკოსი და მაყურებელს ესაუბრნენ სპექტაკლის თაობაზე. მაყურებლის მრავალ შეკითხვასაც უპასუხეს.

„ჯარისკაცთა სამყაროს“ დაწყებამდე პაატა და ბენ გუნიშიც გამოვიდნენ სცენაზე. ისინი მაყურებელს ესაუბრნენ მუშაობის პროცესზე, მსახიობებზე, იმაზე, თუ რამდენ ხანს იქნება ეს სპექტაკლი რეპერტუარში. (2 ივნისიდან 2 ივლისამდე. ეს უცნაური წესია აშშ დრამატულ თეატრებში. მოგვიანებით კიდევ შეიძლება ითამაშონ, მაგრამ არც თუ ხშირად.) დასასრულს კი პაატამ მაყურებელს ღიმილით მიმართა:

– „თუ სპექტაკლი მოგეწონებათ, შემოწირულობა არ დაიშუროთ“.

მაყურებელმა ამ მოწოდებას ტაში დაუკრა. ამის უფლებას რეჟისორი მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემს თავს, თუ მას მაყურებელთან უშუალო, მეგობრული ურთიერთობა აქვს, იგი თეატრის მეგობრებს, გულშემატკივრებს მიმართავდა.

„სინეტიკ თეატრის“ ბოუჯეტი, რამდენადაც ვიცი, ერთ მილიონ დოლარამდეა, მას მართავს დირექტორთა საბჭო, რასაკვირველია, ქალაქის ხელისუფლება მონაწილეობს თეატრის დაფინანსებაში, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია შემოწირულობანი.

სასტუმროში დაბრუნებული დაკვირვებით გავეცანი სპექტაკლის პროგრამაზე დართულ სიას. აქ მოთავსებულია იმ ადამიანთა გვარები, ორგანიზაციათა დასახელება, ვინც თეატრს შემოწირულობას სწირავს. ასე მაგალითად: წელიწადში 20-20 ათას დოლარს სამი იორგანიზაცია აძლევს, 5 ათას დოლარს ორი ორგანიზაცია, მერე მოდის იმათი სია, ვინც 2.500 დოლარს სწირავს თეატრს, ამას მოსდევს 2 ათასიანები, ათასიანები და ასე 100 დოლარამდე. ყოველი მათგანის გვარია მითითებული, ისინი ასეულობით არიან. მე რომ კაცმა მკითხოს, თეატრი სწორად იქცევა, 100 დოლარის გამღებიც არ არის დავიწყებული. მათ უყვართ თეატრი, თავისად მიაჩნიათ და რამდენიც შეუძლიათ, იმდენს აძლევენ, ხვალ მეტს მისცემენ. ამ სიაში რამდენიმე ქართული გვარიც ამოვიკითხე, თუმცა, უნდა გამოვტყდე: სამი წლის წინანდელ პროგრამაში მეტი ქართველი შემომწირველი იყო მითითებული.

დიახ, „სინეტიკ თეატრი“ ამერიკული თეატრია, მაგრამ...

იგი ქართულიც გახლავთ, აქ ქართული სული ტრიალებს. აქ ქართველები იყრიან თავს — ოკეანის გაღმელი ქართველები. იმ 2 ივნისის ღამეს რამდენი ქართველი კაცისა თუ ქალის გაცისკროვნებული სახე დავინახე „სინეტიკ თეატრში“.

„ლიტერატურული გაზეთი“
№76, ივნისი

ქორწინებისა და სექსის არსი ებრაული მორალის თვალსაზრისით

შალომ დავიდი

ჭეშმარიტი მშვენიერება

იმისათვის, რომ ვმართოთ სექსუალური იმპულსი – მისადმი დამორჩილება არ შეიძლება. იუდაიზმი ლაპარაკობს „ცნიუთის“ მნიშვნელობის შესახებ. არ შეიძლება „ცნიუთის“ აღრევა ქრისტიანულ-პურიტანულ უბიწოების მოთხოვნილებებთან. ქრისტიანული უბიწოება დაკავშირებულია ხორციელის ცოდვათა წარმოდგენებთან, ეს იმ დროს, როდესაც „ცნიუთის“ პრინციპებს შეაქვთ თვითშეზღუდვა, სიწმინდე და ღირსება. რწმენიდან რომ წიაღდებიან, რამეთუ ადამიანური სხეული – ეს წმიდა ჭურჭელ-სათავსია სულისა. ებრაელი ბრძენ-სწავლულნი ამბობენ: მეფის ასულის მშვენიერება მის შინაგან სამყაროში მოივანებსო. სილამაზე იმაში კი არ სუფევს, რასაც ჩვენ ვააშკარავებთ, არამედ ფარულ, უჩინარ არსსა და რაობაში არს.

ტანსაცმელი და სირცხვილი

ცხადია, რომ ტანსაცმელი განსაზღვრავს ჩვენს მორალურ საქციელს. მოურიდებლად ჩაცმული ქალიშვილი ასევე მოურიდებლად იქცევა.

პირველმა ადამიანებმა ოდეს შეიცნეს ჭეშმარიტება, მათ იხილეს, რომ შიშვლები იყვნენ და შერცხვათ. სირცხვილის შეგრძნება – ცივილიზებული სამყაროს საფუძველია: ღმერთმა გვიწილბედა ჩვენი სხეულის მცველი – შინაგანი გრძნობა, სხეულს რომ იცავს სიშიშვლისაგან.

ადამიანის საკუთარი ღირსების გრძნობას სირცხვილი იცავს, როგორც პიროვნებას და როგორც რჩეული ხალხის წევრს. ტანსაცმელი ადამიანს განასხვავებს ცხოველისაგან. არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნება: „ცნიუთი“ (ინტიმური, ფარული) და „ფრიცუთი“ (მკვეთრი გაწყვეტა, გარღვევა, ზღუდის ნგრევა).

„ცნიუთი“ ლაპარაკობს, რომ ტანსაცმელი უნდა ფარავდეს ქალის ფიზიკურ გარეგნობას, მას უნდა ანიჭებდეს სინატიფეს, სიფაქიზეს და ღირსებას. „ფრიცუთი“ კი იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ გაშიშვლდეს ქალის ფიზიკური გარეგნობა. თორის აზრით, ქალური ფორმები დაფარული უნდა იქნეს სხვებისაგან და დაცული მისი რჩეულისათვის.

არ არსებობს იმაზე უფრო ულამაზო და ვულგარული სანახაობა, როდესაც ქალიშვილი გრძნობს რა საკუთარ თავს კარგად და თავისუფლად, იშიშვლებს სხეულს და მისთვის მხოლოდ იმას აქვს მნიშვნელობა, რომ მისმა „ტანსაცმელმა“ პოვოს მოდური ჟურნალების აღიარება. ჩვენს დროში იმდენი მოდაა, რომ თუნდაც წესიერი ქალიშვილისათვის ძნელია სარისკო ტუალეტების თავიდან აცდენა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა არჩევა მოდასა და „ცნიუთს“ შორის, ებრაელმა ქალიშვილმა უნდა განახორციელოს ეს არჩევა.

რჩევა ჭაბუკებს

„რომანტიკული სიყვარულის“ იდეა, ამერიკას რომ დაეუფლა, გადაიქცა მოთხრობებისა და კინოფილმების თემად, შეავსო ჟურნალების ფურცლები და ახალგაზრდების თავები. უამრავთათვის ის გადაიქცა სინამდვილისაგან გაქცევის საშუალებად. ამ სიყვარულის გმირი ქალი თავს იმართლებს იმით, რომ იგი შეპყრობილია ვნებით და არ უწყის, რა ხდება მასთან. ეს საკუთარი თავის მოტყუებაა. ჩვეულებრივ, ქალს ესმის, რაც ხდება. ის მიმართავს რომანტიკულ სიყვარულს, რათა გათხოვდეს. ზოგიერთ ქალიშვილსა და ჭაბუკს ძალუძს დაამახინჯოს სიყვარულის ცნება, სურს რა დაარწმუნოს თავისი თავი სიახლოვის ზოგიერთი ფორმის კანონიერებაში, როდესაც გიყვარს. რომანტიკული სიყვარული ყოველთვის არ წარმოადგენს ჭეშმარიტ სიყვარულს, თუ ადამიანებს არ გააჩნიათ რაიმე საერთო. მიენიჭოს მნიშვნელობა მხოლოდ ემოციებსა და გრძნობებს, ლოგიკისა და ნათელი აზრის იგნორირების საფუძველზე, – ნიშნავს, შეიქმნას რაღაც ბუნდოვანი, რაიც არ შეიძლება იყოს ღრმა, მოწიფული კავშირის საფუძველი.

მოთხრობებსა და ფილმებში მეორდება ერთი და იგივე თემა: „მე მიყვარს, და ჩემი სიყვარული მაღლა დგას ყოველგვარ დადგენილებაზე“. ებრაული შეხედულება საგნებზე ამბობს: უნდა გიყვარდეს არა საკუთარი თავის წინააღმდეგ, არამედ შენი თავისთვის. სიყვარული არ უნდა იყოს დაცემა. და თუ ეცემი, უნდა დაეცე ღია თვალებით.

უნდა გიყვარდეს ადამიანი, და არა ხორცის ნაჭერი. უნდა გიყვარდეს შეგნებულად, არა იმიტომ, რომ გრძნობთ მოთხოვნილებას სიყვარულისათვის და არც იმისთვის, რომ ვერ მორიგდით მშობლებთან. ნამდვილი სიყვარული შეუძლებელია სიწმინდისა და ზნედაცულობის გარეშე.

დასკვნა

ებრაული თავდაჭერილობა – ეს არ არის ფარისევლობა და არც შიში ხორციელის წინარე. თორა ღიად და თავისუფლად ლაპარაკობს სექსუალური ურთიერთობისა და ადამიანის სხეულის შესახებ. „ქებათა ქებაში“, რომელსაც რაბი აკივა უწოდებს „წმიდათა წმიდას“, ფიზიკური სიყვარულის გამოხატულება გამოყენებულია ებრაელი ხალხის, ღმერთისადმი სიახლოვის ასახვისათვის. ეს წმიდა წიგნი სავსეა ისეთი გამოთქმებით, როგორც მაგალითად: განცხრობა, სიყვარული, სილამაზე, მიჯნური, სატრფიალო, სიყვარულით გასატკივრება, სიტკბოება, თვალწარმტაცობა.

ებრაელი თავს თავისუფლად გრძნობს, როდესაც სხეულის შესახებ ლაპარაკობს, რამეთუ „ბიწიერ სიტყვათა“ ცნება უცხოა ივრითისათვის. სხეული ღმერთის ქმნილებაა და განწმედილია სიყვარულით და ნდობით ოჯახში, რომელიც იცავს თორის მცნებებს.

თორა ლაპარაკობს ადამიანური ღირსებისა და მოყვასის პატივისცემის შესახებ. თვით ადამიანში, მის სხეულში სუფევს ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც შემოქმედმა შთაბერა მასში. სხეული როდი არს სათამაშო, სიამის მისაღებად რომ არს მოწოდებული. იგი იარაღია, რომელსაც ღვთაებრივი განზრახვის პირველსახე ქმნის.

სექსი უნდა მისდევდეს თორის მიერ წინასწარ მოხაზულ გზას. ვლაპარაკობთ რა სიცოცხლის ძალის შესახებ, თორა ჩვენ გვთავაზობს არჩევანს. „ღმერთმა შენს წინარე წარმოსახა სიცოცხლე და სიკვდილი, ქველობა და ბოროტეული. სიცოცხლემ მოივანოს შენი არსების არსსა და რაობაში!“

(დასასრული)

იქნა ძვირფასი ხე. ბერძნული ორიგინალი ინახება ორთოდოქსულ საპატრიარქო ბიბლიოთეკაში, იმპერატორ იუსტიანეს სარდალს ბელისარიოსს, რომელსაც რომი დაუპყრია 536 წელს და იქიდან თავის დროზე იერუშალაიმიდან გატანილი ნივთები წამოუღია, იმის შიშით, რომ ქალაქი მტერს ჩაუვარდებაო ხელთ, ბრძანება გაუცია ეს ნივთები შესანახად ჯვრის მონასტერში გადაეტანათ, მომხდურთა შიშით ბერებს ძვირფასი საგნები მონასტრის მიწაში ჩაუფლავთ. 796 წელს მუსულმანთა თარეშის დროს ყველა ბერი ამოიხოცა და არავინ დარჩენილა იმ წმ. საგნების საფლავის ადგილზე მცოდნე.

ფრანცისკანელი პატრის ცვინნერის გადმოცემით, არსებულა ტრადიცია ბიზანტიის მეფე ჰერაკლიუსის შესახებ, რომელსაც სპარსელების მიერ გატაცებული ჯვარი ამ ადგილას დაურგავს და საკურთხეველიც აუშენებია. ტობლერი ამ გადმოცემას უსაფუძვლოდ მიიჩნევს. მისივე აზრით, ფრანკებს 1099 წ. მონასტერი აშენებული უნახავთ, ამდენად სავარაუდოაო, რომ მონასტერი აშენებულა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ხანაში, ომარ იბნ ალ-ხატაბის დაპყრობითი ომების დროსო. რადგანაც, ტობლერის თანახმად, თითქმის გამორიცხულია დარბევებისა და მოოხრებათა პერიოდში, როგორიც იყო 637-1099 წწ-ის დროითი შუალედი, მონასტრის დაარსება და შენება.

დროთა განმავლობაში, გარდაუვალი იყო ქართული და ბერძნული ტრადიციების დაპირისპირება მონასტრის დაარსება-აშენების, ეპოქისა და პიროვნებების თაობაზე. საყოველთაოდ ცნობილი ქართული ტრადიციის საპირისპიროდ, ბერძნული ორთოდოქსული წრეები აყალიბებდნენ საკუთარ გადმოცემას - ტრადიციას ჯვრის მონასტრის დაარსების საკითხზე. დღესაც, ბერძნულ ორთოდოქსულ-საპატრიარქო წრეებში (ჯვრის მონასტრის, 60-იანი წწ. გამგებლის იეჰოიკაიმ მემარისის მოწმობით) იმპერატორ კონსტანტინეს დედამ წმ. ჰელენემ ჩაუყარა საფუძველი ჯვრის მონასტერს, მის შემდეგ, ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლიუსმა, დაბრუნდა რა სპარსელების წინააღმდეგ ლაშქრობიდან, ამ ველში დაიბანაკა და ღმერთისადმი მადლიერების გამოხატვის ნიშნად გადაუწყვეტია აქ აშენებული მონასტრის გაფართოება-სრულყოფა, თუმცა დაწყებული საქმე ვერ დაუბოლოვებია არაბების შემოსევების გამო.

რაც შეეხება ქართულ ტრადიციას, იგი ემყარება, როგორც ძველ ქართულ წერილობით წყაროებსა და სამატიანო ცნობებს, ასევე თვით ჯვრის მონასტერში დაცულ ფრესკულ წარწერებს. ალ. ცაგარელი იმოწმებდა რა ტიმოთე გაბაშვილს, რომელსაც მე-18 საუკუნეში გადაუწერია მონასტრისეული ფრესკული წარწერა, რომლის მიხედვითაც პირველ ქართველ ქრისტიან მეფეს მირიანს (265-342 წწ.) იერუშალაიმის მოხილვისას 316 წელს შეუგულებია მონასტრის ასაშენებელი ადგილი, ალ. ცაგარელი მიუთითებდა ტ. გაბაშვილის წიგნზე (იხ. — მიმოხილვა, რუს. გამოცემა „Путешествие“) და არა საკუთრივ ფრესკულ წარწერაზე, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, მას არც უნახავს. საერთოდ, ჩანს ბერძნებმა სასურველად ჩათვალეს თავის გადმოცემა - ტრადიციისათვის მეტი დამაჯერებლობა მიეცათ, მონასტერში არსებული მნიშვნელოვანი საისტორიო-წყაროობითი ხასიათის ქართული წარწერები ან გადაეშალათ ან გადაეფერათ. ამის კვალი მონასტერში არსებულ ყველა ფრესკას ატყვია (რუსთაველის სურათის ისტორია ხომ ამაზე მეტყველებს) და ასე გაგრძელდა, ვფიქრობთ ძალაზე ცოტა და ისიც უმნიშვნელო ქართული წარწერა შერჩებათ კედლებს. (იხ. ცაგარელი, 32, 90).

გარკვეულ ობიექტურობას ქართველთა მოღვაწეობისადმი და მათი სიძველეებისადმი პალესტინაში, არაბერძენი ქრისტიანული წრეები უფრო იჩენდნენ. ასე მაგალითად, არქიდიაკონ დოულინგის მიხედვით, კონსტანტინე დიდს უბრძანებია წმ. ევსტათესათვის, თავისი ბერები სწვეოდა საქართველოს და ქრისტიანობაზე მოექცია მისი მეფე მირიანი — შაპუთი პირველის შვილი (ხოსროველ ხახანიანთ დინასტიიდან, ასევე მისი ხალხიც. მეფე მირიანს იმპერატორ კონსტანტინესათვის იერუშ. ადგილი ლოტოსა უთხოვია წმ. ჯვრის მონასტრის ასაშენებლად. (იხ. Arch. Dowling, The Georgian church in Jerusalem, Palest. Explor. fund, 1311, L,pp. 181,183).

(გაგრძელება იქნება)

ცხრა აბი

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?
რუბრიკას უძღვება მთავარი რაბინის მ.შ. აბიმელეხ როზენბლატი

ცხრა აბი

რა ასოციაციები გვაქვს ჩვენ ამ თარიღთან დაკავშირებით? იერუსალიმი, ტაძრის დანგრევა, იერემიას გოდება, მარხვა. . . ბანალური ხომ არაა წლიდან წლამდე ერთი და იგივე? რიგითი თარიღი კალენდარში, ტრადიციაში?

და, ვის სჭირდება ეს დღე? რისთვის ვიმარხულოთ? ვიგლოვოთ ტაძარი, რომელიც არ არსებობს? მხოლოდ როგორც ტრადიციული დღე? და, ვის სჭირდება ახლა ტაძარი? რისთვის? ისედაც ხომ ვცხოვრობთ, ასე თუ ისე, მაგრამ, მაინც კარგად, ვიღაც შეიძლება ცუდად, ვიღაც უკეთ...

და, საერთოდ, ადამიანი იკითხავს: როგორ შეგვიძლია ვიტიროთ იმაზე, რაც 2000 წელზე მეტი ხნის წინ მოხდა?

სამწუხაროდ, თაობათა გარდაუვალი დაცემა თავისას აკეთებს, და, რაც უფრო ვშორდებით იმ თარიღს, მით ნაკლებად ვგრძნობთ ტაძრის დაკარგვის ჭეშმარიტ სიმწარეს, ნაკლებად გვესმის, თუ რას ნიშნავდა ის ებრაელთათვის, მთელი სამყაროსათვის. და, განა ეს მიუხვედრელობა, ვერ-ჩაწვდომა ტაძრის არსებობის ღრმა აზრში, არსში, არ უნდა იყოს უკვე მიზეზი იმისა, რომ ვიგლოვოთ ტაძარი?

მხოლოდ მორალის დაცემამ (მორალი კი არის დედამიწაზე ადამიანის არსებობის საფუძველი), რომელიც შეინიშნება ახლა, უნდა გვაიძულოს დავფიქრდეთ. და ეს უნდა გავაკეთოთ ყველამ, არა მხოლოდ მგრძნობიარე ადამიანებმა, ყოველმა ჩვენთაგანმა, მათ, ვისთვისაც სულერთი არაა ხალხის მდგომარეობა, მით უმეტეს მეგობრებისა და ახლობლების და მთელი სამყაროსიც.

ტაძარი რომ იდგა, მაშინ ხომ სამყაროში კეთილდღეობა იყო, არ არსებობდა უკურნებელი სენები, არ იყო გადაუჭრელი პრობლემები. ტაძარში მსახურებაზე, მისი წარმართვის ხარისხზე პირდაპირ იყო დამოკიდებული სამყაროში საქმეთა მდგომარეობა. გემარა აღგვიწერს ტაძრის არსებობის ყველა უპირატესობას, და, შესაბამისად, ამ სამყაროში შეხინის არსებობისა (მაგ. „მასეხეთ სოტა“ 48:1).

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სხვა ყველაფერთან ერთად, ჩვენი ყველა სატანჯველი ნაწილობრივ, პირდაპირაც კი მის არარსებობასთანაა დაკავშირებული, იმასთან, რომ ჩვენ დღემდე გაბნეულნი ვართ მსოფლიოში, და არ შეგვიძლია სრულად შევასრულოთ ჩვენი მისია.

მაშ, როგორ არ ვიტიროთ და არ ვიგრძნოთ ტკივილი, როდესაც ყველა ფეხის ნაბიჯზე სასტიკ ასიმილაციას ხედავ, როდესაც ჩვენი ახლობელი ებრაელები ებრაულ ოჯახს მოცილებულნი ითქვიფებიან პირდაღებულ უკულტურობაში... როდესაც იმის მაგიერ, რომ ხალხების მანათობელნი იყვნენ, ეცემიან კმაყოფილებისა და გარყვნილების მორევში. მათ ნასესხები აქვთ ლოზუნგი: „ვცხოვრობ და ვტკბები ცხოვრებით“ და ამაყად გვამცნობენ, რომ ისინი ისეთები არიან „როგორც სხვები“. სამწუხაროდ, ცრემლებისათვის საკმაო მიზეზები გვაქვს. მთავარი კი არის – ტოტალური გაუგებრობა, მთავარისა და მეორეხარისხოვანის გარჩევის უუნარობა, როდესაც თვალები და გონება დამტვერილია გალუთის კლიპათი გარსით.

და თქვეს ჩვენმა ბრძენებმა: იმისათვის რომ ტაძარი აღდგეს, საჭიროა გამოვასწოროთ სწორედ ის ცოდვები, რომელთა გამოც ტაძარი დაინგრა. უფრო მეტიც, ნათქვამია: „ყოველი თაობა, რომლის პერიოდშიც ტაძარი არ აღდგა, ატარებს იმ პასუხისმგებლობას, რომ თითქოს თავად დაანგრია იგი.“(იერუსალიმის თალმუდი, ტრაქტატი იომა 1:5).

მაშ, როგორ გამოვასწოროთ ის, რისი მოსმენისათვისაც ბევრი მზად არაა. თუმცა, არსებობს მცნება მიუთითო გვერდზე მდგომს, როგორ გავაკეთოთ ისე, რომ ამ მითითებას საჭირო შედეგი მოჰყვეს?

წიგნში „ფარდეს იოსეფ“ მოყვანილია ასეთი იგავი: ისე მოხდა, რომ ლომმა რამდენიმე დღის განმავლობაში ნადავლი ვერ იპოვა. შიმშილი უფრო და უფრო უძლიერდებოდა და პირიდან უკვე ცუდი სუნი ამოსდიოდა. გზის გასაყარზე გადაწყვიტა დაწოლა, იქნება და რაიმე ნადავლი გამოეჭირა. რამდენიმე წუთში მიხვდა, რომ სწორად მოიქცა, რადგანაც მისკენ ბატკანი მოემართებოდა. დაუძახა მას ლომმა და უთხრა: „მითხარი ჩემი პირიდან როგორი სუნი ამოდის?“ დასუნა ბატკანმა და უთხრა: „ძალიან, ძალიან ცუდი სუნია“. „თავხედო“ – დაიღრიალა ლომმა – „ასე ელაპარაკები ცხოველთა მეფეს?“ მივარდა ბატკანს, ნაფლეთებად აქცია და გადაყლაპა.

ცოტა ხნის შემდეგ გზაზე მგელი გამოჩნდა. შორიდანვე მიხვდა, თუ რა დაემართა ბატკანს და გადაწყვიტა მასზე ჭკვიანად მოქცეულიყო: როდესაც ლომმა ჰკითხა, თუ როგორი სუნი ამოსდიოდა პირიდან უპასუხა: „რა მშვენიერი სუნია, დიდი სიამოვნებაა მისი ყნოსვა, შეიძლება კიდევ ვიყნოსო?“

„მატყუარა“ – იღრიალა ლომმა – „ვერ ვიტანი პირფერებს. ამიტომ, შენც შეგჭამ“. რამდენიმე წუთში მგლისგან აღარაფერი დარჩა.

ამ ორი ტრაპეზის შემდეგაც ლომი ვერ დანაყრდა. ამიტომაც დარჩა გზაზე მორიგი მსხვერპლის საძებრად. გაუმართლა, გზაზე მელია გამოჩნდა. ლომმა ექსპერიმენტის გაგრძელება განიზრახა. „აბა, როგორ სუნი ამომდის პირიდან?“ – დაიყვირა მან და თან მსხვერპლზე თავდასასხმელად მოემზადა. „ბატონო ჩემო“ – უპასუხა მელამ – „ვერ ვყნოსავ, როგორც ჩანს, გაციებული ვარ, სამწუხაროდ, ახლა სუნს ვერ ვარჩევ“.

რაზეა ეს იგავი? ლომი ეს არის თემი, რომელსაც ასტკივდა ყელი და პირი იმის გამო, რომ არ სწავლობენ თორას. ამიტომ მათი პირიდან მხოლოდ ცუდი ამოდის – ლაშონ ჰარა (ცუდი ენა) და ჭორები. და, აი, ისინი ირჩევენ რაბინს, რათა იყნოსოს ეს სუნი და მიუთითოს მათ. თუ რაბინი ბატკანს გავს, რომელიც მხოლოდ სიმართლეს ამბობს, მაშინ გაბოროტებული და გაღიზიანებულნი თავს დაესხმებიან მას. თუ რაბინი მგელს ჰგავს, რომელიც დაუწყებს მათ პირფერობას, ესეც არ მოეწონებათ. ისინი დაუწყებენ ყვირილს, რომ რაბინი პირფერა და მატყუარაა.

ამიტომ, ბევრი მელას გზას ირჩევს, ისე იქცევიან, თითქოს ვერ გრძნობენ სუნს. მაგრამ, ასეთი გზის არჩევის შემთხვევაშიც საჭიროა ვცადოთ ადამიანების დახმარება, რათა გამოასწორონ საქციელი, დავეხმაროთ იმაში, რომ მისი პირიდან სუნი მათი დანაშაულის გამო აქვთ, და, რომ მხოლოდ სულიერი შიმშილი იწვევს ამას.

ისრაელის ამბები | ისრაელის ამბები | ისრაელის ამბები

ხუთი მთავარი საშიშროება

პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ ისრაელის არმიის ოფიცრებს შეხვდა, რომლებიც ნაციონალური უსაფრთხოების კოლეჯის სტუდენტებიც არიან. სახელმწიფოს მთავრობის მეთაურმა მათ თავდაცვის სფეროში იმ ახალი გამოწვევების შესახებ უამბო, რომლებიც შეიძლება ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის შეცვლის შედეგად გამოვლინდეს.

როგორც ZMAN.com მთავრობის ხელმძღვანელობის პრეს-რელიზზე დაყრდნობით იტყობინება, ნეთანიაჰუმ ისრაელის წინაშე მდგარი ხუთი მთავარი საფრთხე აღნიშნა: ირანის ბირთვული შეიარაღება, კიბერ საფრთხეები, სტრატეგიული რაკეტები, საზღვრების „გამჭვირვალობა“, ასევე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების არასტანდარტული იარაღით აღჭურვა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ირანზე დაკისრებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა, მთავარ მიზანს — თეირანის ხელმძღვანელობის მიერ ბირთვული პროგრამის შეჩერებას ვერ მიაღწიეს.

კიბერნეტიკულ საფრთხეზე საუბრის დროს, მთავრობის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დღეს ისრაელი კიბერსფეროში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა და ეს პირდაპირაა დაკავშირებული ანტირაკეტული სისტემის შექმნასთან.

პრემიერ-მინისტრმა ასევე აღნიშნა „უშიშროების გალავნის“ მშენებლობის მნიშვნელობა ეგვიპტის საზღვარზე, რომელიც აფრიკიდან არალეგალურ იმიგრაციას შეუშლის ხელს.

„უნდა აღინიშნოს, რომ ივლისის დასაწყისიდან ისრაელში მხოლოდ 250 არალეგალი დააპატიმრეს, რაც წინა თვეებთან შედარებით ბევრად ნაკლებია“, — აღნიშნა ნეთანიაჰუმ.

საუბრის ბოლოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა სერიოზული საფრთხე რეგიონში რადიკალი ისლამისტების დაჯგუფებების შეიარაღების გამო.

მერვე უნივერსიტეტი

1972 წლის შემდეგ ისრაელში პირველად ახალი უნივერსიტეტი გაიხსნა. ქალაქ არიელში (სამარიაში) მდებარე სასწავლო ცენტრისთვის უნივერსიტეტის სტატუსის მინიჭებას ისრაელის მთავრობამ და ქნესეთის წევრებმა დაუჭირეს მხარი. უნივერსიტეტს გახსნა მიულოცა რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა იური კანერმა. რუსეთის ებრაელთა კონგრესს და არიელის ცენტრს, რომელსაც ხელმძღვანელობს ყოფილ საბჭოთა კავშირიდან ჩასული მიხაელ ზინიგრადი, ახლო პარტნიორული ურთიერთობა აქვთ, ამ აკადემიური სტრუქტურის მეურვეთა შორის არის რუსეთის ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი გერმან ზახარიევი.

უკვე 40 წელია ისრაელში უნივერსიტეტების რაოდენობა არ შეცვლილა (1972 წლიდან), იმის მიუხედავად, რომ ქვეყნის მოსახლეობა ორჯერ გაიზარდა.

არიელის უნივერსიტეტის რექტორის მიხაელ ზინიგრადის მიმართ მისალოცი წერილი რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა იური კანერმა გაგზავნა: „გულწრფელად მოხარული ვარ მოგილოცოთ არიელის უნივერსიტეტის ოფიციალური არსებობა. ამ გადაწყვეტილებამ დაამტკიცა არიელის სასწავლო ცენტრის რეპუტაცია და კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ისრაელის უმაღლესი განათლების განსამტკიცებლად. ეს მოვლენა შეიძლება თავისუფლად ჩაითვალოს „რუსი“ ისრაელელების წარმატებადაც. ამ წლების განმავლობაში თქვენ გრძელი გზა გაიარეთ, რათა ისრაელის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი უნივერსიტეტი შეგექმნათ, რომლითაც შეუძლიათ იამაყონ არა მარტო ქალაქ არიელის მაცხოვრებლებს, რომლებმაც ეს გზა ფაქტიურად თქვენთან ერთად გაიარეს“, — განაცხადა იური კანერმა.

მიხაელ ზინიგრადი და არიელის პროფესურისა და მეცნიერების დიდი ნაწილი — ყოფილი საბჭოთა კავშირიდან არიან. როგორც გამოცდილებამ აჩვენა, ეს ფაქტორი ხელს უწყობს არიელის უნივერსიტეტის ურთიერთობის გაღრმავებას რუსეთის სამეცნიერო და საქმიან საზოგადოებასთან.

მაისში არიელის ცენტრში იმყოფებოდნენ რუსეთის ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, მთიელი ებრაელების საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელი გერმან ზახარიევი და რუსეთის ებრაელთა კონგრესის დირექტორი ბენი ბრისკინი. მიხაელ ზინიგრადსა და მაშინ ჯერ კიდევ არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის პრეზიდენტთან დანომ მეერშტეინთან ერთად ხელი მოეწერა დეკლარაციას „არიელში“ კავკასიის და შუა აზიის ებრაელობის ისტორიის აკადემიური კვლევის ცენტრის შექმნის შესახებ. ამ პროექტის ინიციატორი იყო რუსეთის ებრაელთა კონგრესი მთიელი ებრაელების ფონდისა და ისრაელის აბსორბციის სამინისტროს მხარდაჭერით.

დაზვერვის მოხსენება

— 2014 წლისთვის ირანმა შეიძლება საკუთარი ატომური იარაღი შექმნას. იგი 2008 წელს იქნებოდა მზად ბრიტანეთის დაზვერვას ირანის ხელისუფლების გეგმები რომ არ ჩაეშალა. ასეთი განცხადება ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელმა ჯონ სოერსმა გააკეთა.

მარტში ჯონ სოერსი ბრიტანეთის მთავრობის წინაშე ანგარიშით წარსდგა, რომელშიც დეტალურად ასახა სპეცსამსახურების შეშფოთება ირანის ბირთვულ მუქარასთან დაკავშირებით. ანგარიშში ასევე აისახა ფაქტები ისრაელის პოტენციალის შესახებ, ირანის ბირთვული ობიექტების დაბომბვის შემთხვევაში. თუმცაღა, ანგარიში საიდუმლო იყო და დეტალები ამ დრომდე არ ხმაურდება, წერს „კურსორი“.

ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის ზოგიერთი საიდუმლო დეტალი ჯონ სოერსმა ლონდონში მაღალჩინოსან ჩინოვნიკებთან შეხვედრისას გაამხილა. „ირანი ატომური იარაღის მფლობელი შეიძლებოდა 2008 წელს გამხდარიყო, ახლა კი მას ამასთან ორი წელი აშორებს“, — განაცხადა ჯონ სოერსმა.

„ყველა სახის ატომური იარაღის ხელში ჩაგდებას ირანი ყველანაირი გზით ცდილობს. აშკარაა, რომ ისრაელი და აშშ დიდი საშიშროების წინაშე აღმოჩნდებიან, თუკი ირანი თავის მიზანს მიაღწევს“, — განაცხადა დიდი ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის მეთაურმა.

მისი სიტყვებით, სწორედ ისრაელისა და აშშ-ს ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს მიიღებს თუ არა ირანი ბირთვული სახელმწიფოს სტატუსს თუ ქვეყნის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს დაიწყებენ. „ვფიქრობ, ისრაელის ნებისმიერ პრემიერ-მინისტრს და აშშ-ს პრეზიდენტს ძალიან გაუჭირდება იმასთან შეგუება, რომ ირანს ატომური იარაღი აქვს“, — დაამატა ჯონ სოერსმა.

უნდა აღინიშნოს, რომ უფრო ადრე ირანი არაერთგზის ადანაშაულებდა ისრაელელ, ამერიკელ და ბრიტანელ სადაზვერვო სამსახურებს ბირთვული პროგრამის შეწყვეტის მცდელობაში. ბირთვული იარაღის შექმნაში მონაწილე ირანელი მეცნიერების მკვლელობებს, ასევე კომპიუტერულ თავდასხმებს ირანი მოსადის აგენტებს აწერს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და „მი-6“ — დიდი ბრიტანეთი და აშშ ამ საკითხთან დაკავშირებით დუმილს ამჯობინებენ.

სხვათა შორის, ჯონ სოერსმა აღიარა, რომ „მი-6“-მა ჩაატარა მთელი რიგი ოპერაციები, რომელთა მიზანიც იყო გაერკვია, მართლა მოქმედებენ თუ არა დაკისრებული სანქციები ირანის მიმართ და კიდევ რისი გაკეთებაა საჭირო, ახლო აღმოსავლეთში არასასურველი პროცესების შესანელებლად.

„ძალიან ვამაყობ იმით, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში, სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის დროს, ჩართული ვიყავი გლობალური პრობლემების მოგვარების საქმეში, და ვგრძნობ, რომ შედეგებზე გავლენა პირადად მოვახდინე“ — განაცხადა ჯონ სოერსმა.

ირანის ატომურ ქვეყნად გადაქცევას დიდ ბრიტანეთში საშიშ მოვლენად აფასებენ. ამან შეიძლება ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებს იმის გაკეთებისკენ უბიძგოს, რამაც შეიძლება ცივი ომის ახალ ეტაპამდე მიგვიყვანოს, სადაც ატომური კონფლიქტის საშიშროება ბევრად უარესი იქნება, ვიდრე სსრკ-სა და დასავლეთს შორის დაპირისპირება იყო.

ამავე დროს, ირანის მეთაურმა აიათოლა ალი ხამეინმა ამა წლის 11 ივლისს თავის ხალხს მოუწოდა მოემზადონ დასავლეთთან ბოლო ომისთვის, რომლის მიზანიც მთელს მსოფლიოში ისლამის გამარჯვება იქნება.

სიღარიბის ზღვარზე?

ნიუ-იორკის მილიონნახევრიანი ებრაული მოსახლეობის (სათემო, რომელიც მსოფლიოში უმდიდრესად ითვლება) დაახლოებით მესამედი (33%) სიღარიბეში ცხოვრობს. ამას ახალი მასშტაბური კვლევის შედეგები უჩვენებს, რომელიც ნიუ-იორკის ებრაელთა ფედერაციის მიერ ჩატარდა. წერს „კურსორი“.

კვლევაში აღინიშნება, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ნიუ-იორკის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ებრაელების რაოდენობა 10%-ით გაიზარდა და 1,54 მილიონს მიაღწია. კვლევის დროს ჩაიწერა 6000 ინტერვიუ, აქედან გამომდინარე კვლევა საკმაოდ მასშტაბური იყო. ნიუ-იორკის, ლონგ-აილენდის და ვესტჩესტერის ებრაელობის 20% არა მარტო სიღარიბეში ცხოვრობს, არამედ აშშ-ს ოფიციალური სტანდარტების მიხედვით, სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება. ცალკე აღებულ ნიუ-იორკში სიტუაცია კიდევ უფრო მძიმეა — სიღარიბის ზღვარს მიღმა ებრაელების 25% ცხოვრობს. ეს 5%-ით მეტია, რაც 10 წლის წინათ იყო, როდესაც მსგავსი ტიპის მასშტაბური კვლევა ჩატარდა. დაახლოებით 300 ათასი ნიუ-იორკის ებრაელი სოციალურ დახმარებას ითხოვდა.

2010 წელს ისრაელში სიღარიბის ზღვარს მიღმა 433 300 ოჯახი — 1733400 ადამიანი, მათ შორის 837,000 ბავშვი იმყოფებდა. საშუალოდ ისრაელში გასულ წელს სიღარიბის მაჩვენებელი 20,5% დან 19,8%-მდე შემცირდა, ბავშვებს შორის კი — 36,45%-დან 35,3%-მდე. 2009 წელს ისრაელში სიღარიბეში მცხოვრები ოჯახების რაოდენობა 1774800 შეადგენდა, ანუ სიღარიბის ზღვარს მიღმა ქვეყნის მოქალაქეების მეოთხედი იმყოფებოდა.

მარადჟამს გვემახსოვრები, მშობლიურო „შალომ, სეზამ!“

„დღევანდელი დღე ჩვენთვის, თქვენი აღმზრდელებისათვის ერთდროულად მხიარულიცაა და სევდიანიც“ – ასე მიმართა თავის აღსაზრდელებს ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის (დირექტორი ქ-ნ ელენე ბერკოვიჩი) საბავშვო პროგრამის ხელმძღვანელმა მარიეტა ისრაელიანმა გამოსაშვებ ზეიმზე 2012 წლის 6 ივლისს.

ამ დღეს თბილისის ებრაულ სახლში თავი მოიყარეს „შალომ სეზამის“ აღსაზრდელთა მშობლებმა, ბაბუა-ბებიებმა, ახლობლებმა, ასევე საპატიო სტუმრებმა. ყველანი, დიდი თუ პატარა, სკოლისაკენ მიმავალ გზას ულოცავდნენ სამ სასკოლო ასაკის ბავშვს – რობი რაზმაძეს, ილანა შალიკაშვილსა და აბიკა პანიანს. პატარები ამ დღისათვის საგანგებოდ იყვნენ გამოწყობილნი: გოგონები სამეჯლისო კაბებში, ბიჭუნები კი ჰალსტუხებით. მარშის ჰანგების თანხლებით დარბაზში „შემობრძანდნენ“ ზეიმის მთავარი გმირები, მათ ნაირფერი ბუშტებით გარს შემოერტყნენ თანაჯგუფელები და დაიწყო დიდი დღესასწაული.

პროგრამის ხელმძღვანელმა მარიეტა ისრაელიანმა დამსწრეთ მოუთხრო ჯგუფთან მუშაობის შესახებ განვლილი სასწავლო წლის განმავლობაში, მონათხრობს თან ერთვოდა ამ ჯგუფის მუშაობაზე საგანგებოდ გადაღებული სლაიდ-შოუ სახელწოდებით „თოდა რაბა, შალომ სეზამ“, რაც იმ დღეს ფართო ეკრანზე იქნა ნაჩვენები.

ზეიმს განსაკუთრებულ ელფერს აძლევდა პატარების გამოსვლები, მათ მიერ შესრულებული ლექსები და სკეტჩები ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებსა (პედ. ელენე ნინიძე) და ივრითზე (პედ. ელენე შეხტერი).

პატარებმა დიდი სითბოთი და სიყვარულით გააჟღერეს სიმღერები საქართველოზე, ისრაელზე, სკოლაზე, მეგობრობასა და ერთობაზე (კონცერტმეისტერი – ტატა სტარიკოვსკაია).

დადგა ყველაზე ამაღელვებელი მომენტი....

ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორმა, ქ-ნმა ელენე ბერკოვიჩმა, სკოლაში მიმავალ სამ აღსაზრდელს საზეიმოდ გადასცა „შალომ სეზამის“ პროგრამის დამთავრების სერთიფიკატი და საგანგებო საჩუქრები. უსაჩუქროდ პროგრამის არც ერთი მონაწილე არ დარჩენილა.

ზეიმის დასასრულს პატარებსა და მოწვეულ სტუმრებს ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი სადღესასწაულო ნუგბარით გაუმასპინძლდა.

ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის ისტორიაში კიდევ ერთი ლამაზი დღე ჩაიწერა.

თბილისის ებრაული თემი გამოსთქვამს ღრმა გულისტკივილს

მიხეილ (მიშიკო) აჯიაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს ჯამაათის ერთ-ერთი ღირსეული წევრის — ნუგზარ აჯიაშვილის ოჯახს.

რობერტ, თენგიზ, ლერა, ფრიდა მიხელაშვილები, ფიმა კაცობაშვილი გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას

მიხეილ (მიშიკო) აჯიაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

იოსებ (სოსო) აჯიაშვილი გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას

მიხეილ (მიშიკო) აჯიაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ინგა და რეუვენ ენოხები გამოსთქვამენ ღრმა გულისტკივილს

მიხეილ (მიშიკო) აჯიაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30

ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.

რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557

9771987898003